ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 26 ივნისი, 2018 №149 (7694) ფასი: 50 თეთრი

„ქუჩის ბიჭების“ სოლისტი, ირაკლი ნოზაძე, ქალებმა დაჭრეს“

„2 გოგო იყო მინი კუპერით მოსული და პიკასოს აგინებდნენ“

გუშინ, 25 ივნისს, საღამოს, ჯგუფ „ქუჩის ბიჭების“ სოლისტი, ირაკლი ნოზაძე, იგივე პიკასო დიდუბეში, წერეთლის გამზირზე დაჭრეს.

დანაშაული, სავარაუდოდ, ორმა ქალმა ჩაიდინა. რუსთავი 2-ის ცნობით, ამის შესახებ თვითმხილველები საუბრობენ.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

26 ივნისიდან

იორამ ჩადუნელი

საზღაური

ქართული დეტექტივი ტომი 3



ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

ზვიად კუპრავა: „მე ივანიშვილის პირადი პატიმარი ვიყავი“

„იზოლატორში პატრულისგან დიდ ყურადღებას ვგრძნობდი“

გვ.2

გვ.3

დავით ჭიჭინაძე: „გაზაფხულზე ვადამდელი არჩევნები გარდაუვალი იქნება“

„ვისაც ჩემი განცხადებები არ მოსწონს, ცივი წყალი დალიოს“

ზაზა ხატიაშვილი: „ბახტაძე ციხეში უნდა იჯდეს და პრემიერად დაგვინიშნეს“

გვ.4

ივანიშვილმა შესაძლოა გაქცევა მოასწროს და ჩვენ კი დაქცეული ქვეყანა შეგვრჩება

გია ვოლსკი: „საპრეზიდენტო კანდიდატი ჯერ შერჩეული არ გვყავს“

გვ.3

გვ.5

მირიან მირიანაშვილი: „ტრამპი და პუტინი საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატზე ისაუბრებენ“

რა შემთხვევაში იქნება რევოლუცია

სამართალი გვ.7

ვინ და რამდენჯერ დაარტყა დანა დათო სარალიძეს

ხორცპროდუქტების ფალსიფიკაციის ექვსი ფაქტი გამოავლინეს

რუსთავში ახალგაზრდა გოგო მე-9 სართულიდან გადმოხტა

ეკონომიკა გვ.6

შავი ჯიპების თემას მამუკა ბახტაძეც შეეჭიდება

შინაგან საქმეთა სამინისტრო 25 ივნისიდან 365 მართლწესრიგის ოფიცრის ვაკანსიაზე განცხადებების მიღებას აცხადებს



კანონს, რომლის საფუძველზეც მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია ხორციელდება, ვადა 2019 წლის 1-ელ იანვრამდე უგრძელდება

ISSN 1987-9385

4 სიმონ ნოზაძე: „ნარკოტიკების აღკვეთის საქმეში უშიშროებამ შეიძლება მხოლოდ დამხმარე როლი ითამაშოს“

6 რა ღირს სასტუმროში დასვენება საქართველოში

8 თურქეთის ვადამდელ არჩევნებში ერდოღანმა გაიმარჯვა

7 ავარია წეროვანთან — დაშავებულია 18 ადამიანი

ზვიად კუპრავა: „მე ივანიშვილის პირადი პატიმარი ვიყავი“

„იზოლატორში პატრულისგან დიდ ყურადღებას ვგრძნობდი“

შორენა მარსაგიშვილი

სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელმა ზვიად კუპრავამ 2-კვირიანი ადმინისტრაციული სასჯელი მოიხადა და ბრძოლის ახალი ეტაპის დაწყებას აპირებს. ამბობს, რომ პირველი რაუნდი ხელისუფლებას პირწმინდად მოუგეს. იმედი აქვს, რომ ივანიშვილის რეჟიმს მეორე და გადამწყვეტ ბრძოლაშიც აჯობებს.

რუსთაველის გამზირზე სამართლიანობის აღსრულების მოთხოვნით გამართული აქციების ერთ-ერთი ორგანიზატორი მიიჩნევს, რომ ის 2 კვირით ციხეში პირადად გახარიამ და ივანიშვილმა გაუშვეს.

რატომ მოხდა მისი დაკავება, რა შემთხვევაში მოუხდის პოლიციას ბოდიშს, რას აპირებს შვილმოკლულ მამებთან – ზაზა სარალიძესთან და მალხაზ მაჩალიკაშვილთან ერთად, – ამის შესახებ **ზვიად კუპრავა** „ახალ თაობას“ ესაუბრება.

– თქვენ სულ ახლახან გამოხვედით წინასწარი დაკავების იზოლატორიდან, ვიდრე თქვენი დაკავების მიზეზებზე ვისაუბრებდეთ, ბორის კაკუბავაზე მინდა გკითხოთ. როდესაც თქვენ იზოლატორში იყავით, კაკუბავამ მედიას ინტერვიუ მისცა, სადაც ამტკიცებდა, რომ მისი ფანი ხართ და ეს მას პირადად უთხარით. ბორის კაკუბავა იმ საუბარსაც იხსენებს, რომელიც თქვენ შორის შედგა და სადაც მირზა სუბელიანზე და მერაბიშვილის ციხიდან გაყვანის კადრებზე იყო საუბარი.

– კაკუბავას ფანობაღა მაკლდა, ისედაც იმდენი რამე დამაბრალეს. როგორ შეიძლება მე ბორის კაკუბავას ფანი ვიყო? მე მხედრიონის ფანი ცხოვრებაში არასდროს არ ვყოფილვარ. ამ ადამიანის წარსული, გაგრიდან მოყოლებული, ყველამ კარგად იცის. კაკუბავა მედიასთან თავს იწონებს იმით, რომ თურმე სატელეფონო საუბარში შემაგინა. ნამდვილად არ მესმის, რატომ ჰგონია, რომ გინებით შეიძლება ადამიანი წარმოჩინდეს. აშკარაა, რომ მარკების აწევა უნდა.

ბორისს ერთ რამეს ვეტყვი, საუბრის ჩანაწერი არსებობს და მისი არც ერთი სიტყვა დაკარგული არ არის. მინდა კარგად გაიხსენოს, რას ამბობდა თავის სიძეზე, მირზა სუბელიანზე, როგორ ითხოვდა შეხვედრებს, როგორ საუბრობდა იმ კადრების გადმოცემაზე, რომლებზეც ვანო მერაბიშვილის საკნიდან გაყვანაა ასახული.

ვიმეორებ, რომ ბორისის არც ერთი სიტყვა დაკარგული არ არის. ამ საუბრის ჩანაწერი სრულად იმიტომ არ გავასაჯაროვე, რომ დღემდე ამას საჭიროდ არ ვთვლიდი. კაკუბავა ასაკოვანი კაცია და არ მინდა, რომ ეს დრო ფორიაქში გაატაროს. ამიტომ მოვუწოდებ, რომ მშვიდად იყოს ბაბუ, მისთვის ასე ჯობია. არანაკლები დანაშაული აქვს მას ჩადენილი ხორავას საქმეზე, უბრალოდ არ მინდა, ჭანჭიკებს მოვედოთ.

ჩვენ ხალხთან ერთად მნიშვნელოვან ბრძოლაში ვართ შესული. იმ გიგანტებს და მაფიოზებს ვებრძვით, ვინც ხელისუფლების სათავეშია და ვინც მკვლელებს აფარებს ხელს.

– ბორის კაკუბავა თქვენი საუბრის ჩანაწერის გამოქვეყნებით რატომ იმუქრება?

– ვერ გეტყვით. გამოაქვეყნოს, ამით ისევ თავის თავს და მირზას დააზიანებს.

– ახლა თქვენს დაკავებაზეც ვისაუბროთ. 11 ივნისს ფაქტიურად ორჯერ მოხდა თქვენი დაკავება, ჯერ რუსთაველზე, მერე – სასამართლოს შენობაში.

– მართლა ორჯერ მოხდა ჩემი დაკავება და ესეც უპრეცედენტო შემთხვევაა. ის, რაც სასამართლოს სასადილოში მოხდა, საერთოდ სენსაცია იყო. არანაკლები სენსაცია იყო, როცა 50 პოლიციელიდან, რომლებიც ჩემს დაკავებაში მონაწილეობდნენ, არც ერთს არ აღმოაჩნდა ჩართული სამხრე კამერა. არადა ცოტა ხნით ადრე, შს მინისტრი თავს იწონებდა, სუპერ-კამერები შევიძინეთ, რომელთაც 12-საათიანი მუშაობის რეჟიმი აქვთო.

სასამართლოზე მე მოვითხოვე, რომ პოლიციას წარმოედგინა ჩანაწერი, სადაც ჩემი დაკავება იყო ასახული. არც ერთ პოლიციელს ეს კადრები არ აღმოაჩნდა. მიზეზი ძალიან უცნაური იყო – ყველას დამჯდარი ჰქონდა თურმე კამერა. ამის შემდეგ მოსამართლეს შევთავაზე, რომ კადრებს თავად წარმოვადგენდი.

– საიდან უნდა მოგეტანათ ეს კადრები?

– ჩემი დაკავება ტუალეტში მოხდა. ეს ბიოტუალეტი რუსთაველის გამზირზე იდგა. რუსთაველის გამზირზე ლამის ყველა ხეს კამერა უყენია. თავისუფლად შეიძლებოდა, „მარიოტის“ კამერებიდან ამოგვეღო ჩანაწერები. ჩემს დაკავებას ეს კამერებიც დააფიქსირებდნენ.

მოსამართლეს ამ ჩანაწერების წარსადგენად 10-დღიანი ვადა ვთხოვე. სხვადასხვა ობიექტებზე დამონტაჟებული კამერებიდან ჩანაწერების ამოღებას თავისი დრო და პროცედურები აქვს.

მოსამართლემ ამისთვის მხოლოდ ერთი საათი მომცა. მაშინ მივხვდი, რომ მოსამართლე წინასწარ იყო დარიგებული. მოსამართლეს პირდაპირ ვუთხარი კიდევაც, რომ ის იყო დაკვეთის შემსრულებელი. ის ვადაც დავუსახელე, რომლითაც დამტოვებდა მე პატიმრობაში.

„ზაზა სარალიძესთან და მალხაზ მაჩალიკაშვილთან ერთად შევიმუშავებ სამოქმედო გეგმას“

პროგნოზი გამართლდა და მართლაც 14 დღით მომისაჯა პატიმრობა. ამ სასამართლოს ჩანაწერს უახლოეს დღეებში გავასაჯაროვებ. ამის გაკეთება 26 ივნისსაც შეიძლებოდა, მაგრამ პანკისში უნდა წავიდე და დრო არ მექნება.

– პანკისში რატომ მიდიხართ, რამე ხდება?

– პანკისში ზაზა სარალიძესთან ერთად მივდივართ. იქ თემირლან მაჩალიკაშვილის მამას – მალხაზს უნდა შევხვდეთ. ერთად უნდა დავგეგმოთ რაღაცები. ჩვენ გადაწყვეტილებებს გუნდურად ვღებულობთ.

– რის დაგეგმვას აპირებთ?

– სამოქმედო გეგმის. სამართალი ქვეყანაში ჯერ არ აღსრულებულა და საჭიროა ბრძოლის გაგრძელება. უნდა ითქვას, რომ ჩვენ ხელისუფლებას ერთი რაუნდი პირწმინდად მოვუგეთ. ვემზადებით მეორე და გადამწყვეტი რაუნდისთვის, რომელიც სისტემის დანგრევით უნდა დასრულდეს.

ყველამ ნახეთ, როგორ სხარტად და ექსტრემალურ რეჟიმში დაამტკიცეს ახალი მთავრობა. 7-დღიანი ვადა ჰქონდათ და 2 დღეში წარადგინეს პრემიერობის კანდიდატი. მთავრობაც ერთი ამოსუნთქვით დანიშნეს – მოსწრებაზე იყვნენ, სანამ მე ციხიდან გამოვიდოდი.

შეიძლება ითქვას, რომ მოასწრეს. მე რომ გარეთ ვყოფილიყავი, ტელევიზორით არ ვუყურებდი მთავრობის დამტკიცებას. ხალხთან ერთად მშვიდად ყოფნის საშუალებას არ მივცემდი, მაგრამ ციხეში ვიყავი გამომწყვდეული.

ჩემი დაკავება პირადად ივანიშვილმა დაუკვეთა გახარიას, მან ეს დავალება პირნათლად შეასრულა. პოლიციას პირადად მან უბრძანა, რომ დავეკავებინე.

თქვენი გაზეთის მეშვეობით, მივმართავ შს მინისტრს, კეთილი ინებოს და წარმოადგინოს ჩემი დაკავების კადრები. ხომ ამტკიცებენ, რომ სამართალდამცავებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მივაყენე, ჰოდა წარმოადგინონ ამის ობიექტური მტკიცებულებები.

თუ აღმოჩნდება, რომ მე ვინმეს შეურაცხყოფას ვაყენებ ან პოლიციას წინააღმდეგობას ვუწევ, პირობას გაძლევთ, რომ თქვენი გაზეთის მეშვეობით, გახარიას და საზოგადოებას ბოდიშს მოვუხდი – ვიტყვი, რომ არ ვყოფილვარ შს მინისტრის და ივანიშვილის პირადი პატიმარი, მე კონკრეტული გადაცდომისთვის დამიჭირეს.

– ზემოთ ჩვენ თქვენს დაკავებაზე ვსაუბრობდით და პანკისის თემამ სხვაგან წაგვიყვანა. სასამართლოს სასადილოში რა მოხდა, იქ რაღა საჭირო იყო თქვენი დაკავება?

– როგორც უკვე გითხარით, ჩანაწერების წარმოსადგენად მოსამართლემ 10 დღის ნაცვლად მომცა 1 საათი. რაც არარეალური იყო. ეს კადრები რომ მომეპოვებინა, რუსთაველზე უნდა გავსულიყავი. იქ მე ჩანაწერებს არავინ მომცემდა, მაგრამ რომ მოეცათ, 1 საათში დიღმიდან რუსთაველზე გასვლას და უკან დაბრუნებას ვერ მოვახერხებდი.

ამიტომ აზრი არ ჰქონდა მტკიცებულებებზე გასვლას. გადავწყვიტე, სასამართლოს სასადილოში მესადილა. სასადილოში ჩასვლამდე ტვ პირველს ჩავერთე პირდაპირ ეთერში. ამ ჩართვის დროს სერიოზულად გავაკრიტიკე გახარია და მთელი ხელისუფლება.

ამან, ეტყობა, ძალიან გააღიზიანა ჩინოსნები. მათ, ეტყობა, პატრულებს უბრძანეს, ეს კაცი ისევ დააკავეთო. პატრული დაემორჩილა ბრძანებას და სასადილოში, ჭამის დროს, დამადეს ხელზე ბორკილები.

მათ ამის არანაირი უფლება არ ჰქონდათ, რადგანაც მე მოსამართლემ ერთი საათი მომცა. ამ დროში მინდა, მტკიცებულებებს მოვიტანდი, მინდა, ზღვაზე წავიდოდი და მინდა, საჭმელს შევჭამდი.

„ხელისუფლებას პირველი რაუნდი პირწმინდად მოვუგეთ, ახლა გადამწყვეტი ბრძოლისთვის ვემზადებით“

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სასამართლოს შენობაში პატრულს ჩემი დაკავების უფლება არ ჰქონდა. ეს უნდა გაეკეთებინა მანდატურს. პოლიციას ჩემი დაკავების უფლება მხოლოდ მაშინ ჰქონდა, თუ ქუჩაში გავიქცეოდი.

თან ნახეთ, რა მზაკვრები არიან, მაღალჩინოსნებმა პოლიციას უბრძანეს, სასამართლოში დავეკავებინე, შემდეგ კი ამ ბიჭებს ჩემი დაკავებისთვის საყვედური გამოუცხადეს.

პატრულის რიგითი თანამშრომლების მიმართ არანაირი პრეტენზიები არა მაქვს. მინდა მათ მადლობაც კი ვუთხრა.

– მადლობა რისთვის?

– ჩვენ გვყავს ფანტასტიური საშუალო და ქვედა რგოლი. ამის დადასტურება იყო წინასწარი დაკავების იზოლატორიც, სადაც 14 დღე გავატარე. ამ პერიოდმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ უმაგრესი შიდა და საშუალო რგოლი გვყავს. ასეა პოლიციაში და ასეა ყველგან. სახელმწიფოს კრახს „ვერხუშკა“ წარმოადგენს.

ამ „ვერხუშკაშიც“ არიან კარგი ადამიანები, მაგრამ უმეტესობა კორუმპირებულია და უკანონო ბრძანებებს გასცემს. ამის მაგალითი იყო სასამართლოში ჩემი დაკავება და მანამდე ბიოტუალეტში შემოვარდნა. მკითხველთან ბოდიში, ამ ტუალეტს რომ ხშირად ვახსენებ, მაგრამ იქ დამაკავეს. ადამიანს ტუალეტში როგორ აკავებ, ნამუსიც ხომ კარგი საქონელია.

პატრულს უკანონოდ დააჭერინეს ჩემი თავი, მაგრამ მათ ვერ შემაძულებენ. ისევე, როგორც მე არ შემიძულებს პატრული. იზოლატორში რომ ვიყავი, მათგან დიდ ყურადღებას ვგრძნობდი – ისინი სხვადასხვა პირების მეშვეობით მოკითხვებს მითვლიდნენ.

– თქვენთან ერთად დააკავეს ლაშა ცუცქირიძეც, რომელსაც საზოგადოება კაა-ს სახელით იცნობს. ის რატომ დააკავეს?

– კაა რატომ დაიჭირეს, არ ვიცი. ჩემი არ იყოს, ისიც ბიოტუალეტში დაკავეს. ლაშა ძალიან კარგი ბიჭია, კაა-მ ძალიან პოპულარულად აქცია. მე არ მახსენდება, რომ ადამიანს სამი ასო დაეძახა და ასეთი პოპულარული გამხდარიყო. ლაშამ ეს მოახერხა, ის ძალიან პოპულარული გახდა. ეტყობა, მისმა რეიტინგმა შეაწუხა ვიღაცები და კაა-საც იზოლატორში გაატარებინეს ორი კვირა.

ახლა ისიც თავისუფალია, ჩვენ ხალხთან ერთად დავიწყებთ გადამწყვეტ ბრძოლას – სისტემა, რომელიც მკვლელებს მფარველობს, უნდა დაინგრეს.

– იზოლატორთან გამოსვლის შემდეგ, თქვენ მადლობა გადაუხადეთ იმ ადამიანებს, ვინც აქციას აფინანსებდა. ამას დიდი ჭორები მოჰყვა. ვინ იყო ამ საპროტესტო ტალღის დამფინანსებელი? ერთი ვერსიით, ამ აქციებს ერთ-ერთი ბანკი აფინანსებდა.

– იზოლატორში ყოფნისას ერთ-ერთ გაზეთში წავიკითხე, თითქოს გახარიამ ივანიშვილს მიაწოდა მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ ჩვენს აქციებს ბანკები აფინანსებდნენ. ეს არის სრული აბსურდი. ჩემი მადლობა იმ ადამიანებს ეკუთვნოდა, რომლებიც მოდიოდნენ და რითაც შეეძლოთ, გვერდით გვედგნენ.

პირველად რომ გავედით რუსთაველზე, იქ ძიუდოისტები მართავდნენ აქციას. ამ ბიჭებმა ადგილიც დაგვითმეს და წყალიც კი მათ დაგვიტოვეს. მომდევნო დღეებში ხალხი მოდიოდა, ზოგს ხაჭაპური მოჰქონდა, ზოგს ლობიო, ზოგსაც – წყალი. აქციებზე ბევრს ვყვიროდი და ხმა დავკარგე. ერთ-ერთმა მოქალაქემ ბოთლით თბილი რძე მომიტანა, გიშველისო.

შეგროვდა რაღაც თანხები, მაგრამ ამას ბანკებთან არანაირი კავშირი არა აქვს. ამ თანხებს მოქალაქეები დებდნენ, ზოგი 5 ლარს დებდა, ზოგი 10, ზოგი – 100 ლარს.

როგორც გავარკვიე, სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ანგარიშზეც ჩაურიცხიათ ფული. ამ თანხისთვის ხელის მოკიდებას არ ვაპირებ. ბანკში ზაზა სარალიძესთან ერთად მივალ და ამ თანხას სრულად გადავურიცხავ „დავით სარალიძის საქველმოქმედო ფონდს“.

საინტერესოა ისიც, რომ აქციების მიმდინარეობის დროს სუსმა გამოაქვეყნა ყალბი ანგარიშები, სადაც უამრავი ადამიანი რიცხავდა ფულს. აი, ასე, ჩვენს ხარჯზე აკეთებდა ივანიშვილის ხელისუფლება ფულს.

„ქუჩის ბიჭებმა“ სოლისტი, ირაკლი ნოზაძე, ქალებმა დაჭრეს“

დასაწყისი 1-ელ გვერდზე

მათი ინფორმაციით ირაკლი ნოზაძეს ორმა ქალმა მანქანით მოაკითხა, რომლებიც მომღერალს უხამსი სიტყვებით მიმართავდნენ და სახლიდან ჩამოსვლას სთხოვდნენ.

მათივე ცნობით, მალევე დაჭრილი პიკასო მანქანიდან გადმოვიდა და დახმარება ითხოვა.

– დავინახე, რომ უყვიროდნენ, ჩამოდი, პიკასოო, უხამსი სიტყვებით და მერე დავინახე, რომ ჩამოვიდა და ჩაჯდა მანქანაში. რაღაც წამებში გადმოხტა და აქეთ გამოიქცა, სისხლად ვიცლები, მიშველეთო და მერე სასწრაფოში დავრეკე. მანქანით ორი გოგონა ელოდებოდა, – აცხადებს ერთ-ერთი თვითმხილველი.

– ირაკლი რომ გადმოვიდა მანქანიდან, ისინი წავიდნენ, – განაცხადა ირაკლი ნოზაძის მეზობელმა.

თვითმხილველები ამბობენ იმასაც, რომ გოგონები მინი კუპერით იყვნენ.

მომღერალს ჭრილობები გულმკერდის და ყელის არეში აქვს მიყენებული. ის ღუდუშაურის კლინიკაშია გადაყვანილი.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

დავით ჭიჭინაძე: „გაზაფხულზე ვადამდელი არჩევნები გარდაუვალი იქნება“

„ვისაც ჩემი განცხადებები არ მოსწონს, ცივი წყალი დალიოს“

შორენა მარსაგიშვილი

როგორც ჩანს, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების თემას მმართველ გუნდშიც განიხილავენ. ამ თემაზე ხმაურიანი განცხადება „ოცნების“ სკანდალურმა დეპუტატმა – დავით ჭიჭინაძემ გააკეთა.

მედიასთან საუბარში მან განაცხადა, რომ პარლამენტს ავტორიტეტი არა აქვს და თუ მთავრობაც ვერ მოიპოვებს ნდობას, მომავალი წლის გაზაფხულზე ვადამდელი არჩევნები გარდაუვალი იქნება.

როგორ ხვდებიან საპარლამენტო უმრავლესობაში მის სკანდალურ განცხადებებს, ვის ურჩევს ცივი წყლის დალევას, ვინ უნდა დარჩეს მთავრობაში, რას ფიქრობს თეა წულუკიანზე? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ **დავით ჭიჭინაძე** ესაუბრება.

– გაზაფხულზე ვადამდელი არჩევნების შესაძლო დანიშვნაზე გაკეთებულ თქვენს განცხადებას დიდი რეზონანსი მოჰყვა. მართლა გარდაუვალია ვადამდელი არჩევნები?

– მთავრობამ ხალხის ნდობის მოპოვება თუ ვერ შეძლო, ვადამდელი არჩევნები გარდაუვალი იქნება. პარლამენტს, მოგეხსენებათ, ავტორიტეტი არა აქვს და მთავრობამაც თუ ვერ მოიპოვა, მაშინ ხალხს საშუალება უნდა მივცეთ, თავიდან აირჩიოს პარლამენტი.

იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა ავტორიტეტს მოიპოვებს, ვადამდელი არჩევნების ჩატარება, ბუნებრივია, საჭირო აღარ იქნება.

– თქვენს განცხადებაში ისიც თქვით, რომ მთავრობას რეიტინგი არ ექნება თუ მას ავტორიტეტული პირები დატოვებენო. არის იმის ალბათობა, რომ ასეთი მინისტრები გაუშვან?

– ამ თემაზე იგივეს გავიმეორებ, თუ პოპულარული მინისტრები სახლში წავლენ და მათ ადგილზე არაპოპულარული ადამიანები მოვლენ, მთავრობა ვერ მოიპოვებს ნდობას. საპრეზიდენტო არჩევნებს წავაგებთ.

– მგონი, ახალი სკანდალური განცხადება გააკეთეთ – საპრეზიდენტო არჩევნებს წავაგებთო თქვით. არის ამის საფრთხე?

– ამის საფრთხე არ არის. უბრალოდ, ვარაუდებს გამოვთქვამ, რა შემთხვევაში იქნება ვადამდელი არჩევნები. საპრეზიდენტო არჩევნების წაგებაც ამ კონტექსტში ვახსენე. პარლამენტს, როგორც უკვე გითხარით, ავტორიტეტი არა აქვს, მთავრობამ შესაძლოა ის ვერ მოიპოვოს და საპრეზიდენტო არჩევნებიც თუ წავაგეთ, ვადამდელი არჩევნები გარდაუვალი იქნება.

– ამბობთ, რომ არ შეიძლება ავტორიტეტული მინისტრების სახლში გაშვება. ვის თვლით მთავრობაში ავტორიტეტულ ფიგურად და პირადად თქვენ ვის არ შეელეოდით?

– პირადად მე იმ მინისტრებს არ შეველეოდი, ვის მიმართაც საზოგადოება დადებითად არის განწყობილია. ეს განწყობა ნათლად იგრძნობა. ხალხი ზოგ მინისტრს ენდობა, ზოგი არ მოსწონს. ზოგის მიმართ საერთოდ არანაირი დამოკიდებულება არ აქვთ და ისიც კი არ აინტერესებთ, იქნებიან თუ არა ისინი პოსტებზე.

ცუდია, რომ ორ ადამიანს შორის არჩევანის გაკეთება გიწევს, მაგრამ ვთვლი, რომ ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია საზოგადოებრივი აზრი. ამომრჩეველთან აქტიური კომუნიკაცია მაქვს და საზოგადოებისგან კითხვა ისმის, დარჩება თუ არა თანამდებობაზე თეა წულუკიანი.

როცა საუბარი კახა კახიშვილის შესაძლო პროკურორობაზე იყო, ამას ხალხი სიხარულით შეხვდა. როცა ისეთი კადრი გყავს, რომელსაც ხალხი მხარს უჭერს და პოპულარულია, არჩევანი მის სასარგებლოდ უნდა გაკეთდეს და არა – პირიქით.

კახიშვილი „ქართული ოცნების“ მინისტრების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მინისტრია და თუ იმ გზას ვადგავართ, რომ წარმატებული მინისტრები სახლში უნდა გავუშვათ და იმ მინისტრებს ვიტოვებთ, რომელთა მიმართ კითხვები არსებობს, „ქართულ ოცნებასაც“ მალე სახლში გაუშვებენ.

თუ რიგგარეშე არჩევნების საყოველთაო მოთხოვნა იქნება, ის რესურსი შეიძლება გამოიძებნოს, რითაც საპრეზიდენტო არჩევნებამდეც შეიძლება დაინიშნოს. საპრეზიდენტო არჩევნებზე მოსახლეობა „ქართული ოცნების“ მიმართ ნდობას დააფიქსირებს და აქედან გამოჩნდება, გაზაფხულზე საჭიროა თუ არა ვადამდელი არჩევნები. ვადამდელი არჩევნები დამოკიდებული არც „ქართულ ოცნებაზეა“, არც „მოქალაქეთა კავშირსა“ და ნაციონალურ მოძრაობაზე არ იყო. ამას ქართველი ხალხი წყვეტს.

კახიშვილის გარდა მინისტრებიდან მაღალი ავტორიტეტი აქვს გიორგი გახარიას. ის შს მინისტრის პოსტზე უნდა დარჩეს. დადებითად არის განწყობილი მოსახლეობა მამუკა ბახტაძის მიმართ. მან ხალხის სიმპათიები ჯერ კიდევ მაშინ დაიმსახურა, როცა ფინანსთა მინისტრი იყო.

ეს ადამიანები თუ დარჩებიან, მთავრობას აუცილებლად ექნება ხალხის ნდობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, დავზარალდებით.

– „ქართული ოცნების“ დეპუტატების დიდი ნაწილისგან თამამი განცხადებებით გამოირჩევით. გუნდში ამის გამო პრობლემა არა გაქვთ.

– მე ვახმოვანებ იმას, რასაც ხალხი ფიქრობს. ჩემს ამომრჩეველთან ინტენსიური ურთიერთობები მაქვს. სხვებსაც ვხვდები. ბევრგან დავდივარ. როდესაც ვითარებას საღად უყურებ, იქ ადამიანები უფრო გახსნილები არიან.

ჩემი, როგორც დეპუტატის, მოვალეობაა, რომ მთავრობას და პარლამენტს ხალხის ხმა მივაწვდინო.

– ხალხის ხმის მოსმენა მთავრობას დიდად არ სიამოვნებს. თქვენი განცხადებები კი „ოცნებაში“ ბევრს არ მოსწონს.

– ვისაც ჩემი განცხადებები არ მოსწონს, ცივი წყალი დალიოს. მეც ბევრი რამე არ მომწონს, მაგრამ სხვის აზრს პატივს ვცემ.

– „ოცნებიდან“ წამოსვლაზე და ახალი პარტიის შექმნაზეც ხომ არ ფიქრობთ?

– რატომ უნდა წამოვიდე „ოცნებიდან“? მე ამ პარტიაში ძალიან ბევრ ადამიანზე ადრე შევედი. „ქართული ოცნება“ ქართველმა ხალხმა შექმნა ბიძინა ივანიშვილთან ერთად. მე ამ პარტიაში დიდი ხანია ვარ და იმის გამო არ წამოვალ, რომ პარტიაში ახალმოსულებს ჩემი განცხადებები არ მოსწონთ. მე ხალხის ხმას ვახმოვანებ, „ოცნება“ კი, ხალხმა და ივანიშვილმა შექმნეს.

გია ვოლსკი: „საპრეზიდენტო კანდიდატი ჯერ შერჩეული არ გვყავს“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ვიცე-სპიკერი **გია ვოლსკი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო გია, პრესაში გავრცელდა ინფორმაცია „ქართული ოცნების“ შესაძლო საპრეზიდენტო კანდიდატთან დაკავშირებით. საუბარია ევროპის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოში საქართველოს წარმომადგენელ ლადო ჭანტურიაზე. რამდენად რეალურია, რომ მართლაც ის იყოს კანდიდატი, თუ იყო ამაზე გუნდში საუბარი?

– ეს საკითხი მთავრობაზე, სახელისუფლო რგოლებში არ განხილულა, დღის წესრიგში არ დამდგარა. სანამ არ იქნება საპრეზიდენტო კანდიდატი დასახელებული, რასაკვირველია, მედიას სრული უფლება აქვს, რომ ყოველდღიურად ახალი გვარი წამოწიოს და მის გარშემო ისაუბროს, მაგრამ კონკრეტულად ლადო ჭანტურიასთან დაკავშირებით გუნდში საუბარი, განხილვა, შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ არ ყოფილა.

ჩვენი ელჩები, ჩვენი წარმომადგენლები საერთაშორისო სასამართლოში ყველა, რასაკვირველია, დადებითად შემიძლია დავახასიათო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რომელიმე მათგანს მე წარმოვიდგენ ან პრეზიდენტობის კანდიდატად ვასახელებ.

– საპრეზიდენტო კანდიდატზე საერთოდ არ ყოფილა საუბარი, სამთავრობო ცვლილებებმა გადაფარა ეს საკითხი?

– ჯერჯერობით საპრეზიდენტო კანდიდატთან დაკავშირებით საუბარი არ ყოფილა, არც ერთ ეტაპზე და არც ერთ დონეზე. ან ვინ იქნება, ან ვინ არ იქნება, ამ საკითხზე საუბარი არ ყოფილა.

– მთავრობაში სტრუქტურულ ცვლილებებთან დაკავშირებით „ქართულმა ოცნებამ“ გადაწყვეტილება უკვე მიიღო. საუბარია რამდენიმე სამინისტროს გაერთიანებაზე, მათ შორის ერთ-ერთი იუსტიციისა და სასჯელაღსრულების სამინისტროა, ვინ უხელმძღვანელებს გაერთიანებულ სამინისტროს – წულუკიანი თუ კახიშვილი?

– მე არ მგონია, რომ ეს იყოს მხოლოდ მთავარი თემა. აქ არის კიდევ საგანგებოდ მნიშვნელოვანი საკითხები, რომელიც გაერთიანებას, ზოგადად რეორგანიზაციას მოჰყვება. რაც შეეხება საკადრო საკითხებს, მე ჯერჯერობით კომენტარისგან თავს შევიკავებ.

– ბატონო გია, პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე ბარამიძე სწორედ იმიტომ გადადგა თანამდებობიდან, რომ ის მზადდება მთავარ პროკურორად. რამდენად რეალურია, რომ მართლაც ალექსანდრე ბარამიძე გახდეს მთავარი პროკურორი?

– ვერ გეტყვით რა ლოგიკა არის, რომ ბარამიძე გადადგა იმისთვის, რომ ემზადება მთავარი პროკურორობისთვის. მისი გადადგომის დეტალებზე ვერაფერს მოგახსენებთ. რამდენადაც მე ვიცი, საკუთარი გადაწყვეტილებით წავიდა თანამდებობიდან.

რაც შეეხება ზოგადად ამ პროცესს, მთავარი პროკურორის შერჩევას, არასამთავრობო სექტორი ამ პროცესს თავისებურად უყურებს. მე არ ვფიქრობ, რომ სახელისუფლო რგოლები, მაგალითად, პარლამენტი ან იუსტიციის სამინისტრო, არ უნდა მონაწილეობდეს მთავარი პროკურორის შერჩევაში იმ მიზეზით, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს რომელიმე თანამდებობის პირი არ მოსწონთ. სახელმწიფოს სტაბილურობა სჭირდება. ამ სტაბილურობას არასამთავრობო ორგანიზაციები ვერ უზრუნველყოფენ. თუმცა, მათი შენიშვნები და მათი მოსაზრებები ყოველთვის გასათვალისწინებელი და საინტერესოა.

– უმრავლესობის წევრმა დავით ჭიჭინაძემ თქვა, რომ კარგი იქნება, „ქართულ ოცნებას“ თუ თეა წულუკიანი გარედან გააკრიტიკებსო. რას იტყვით?

– დავით ჭიჭინაძემ თავის დროზე თეა წულუკიანის მიერ გაკეთებული განცხადების ინტერპრეტაცია მოახდინა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ დავით ჭიჭინაძე თეა წულუკიანის გადაყენების საკითხს აყენებს. ჭიჭინაძე ამბობს, რომ მეტი კრიტიკა არის მთავრობის მიმართ საჭირო. მე ვფიქრობ, რომ მთავრობას საკმაოდ სერიოზული რესურსი გააჩნია, რომ საკუთარი საქმიანობის კრიტიკა მოახდინოს. სამთავრობო ცვლილებებიც სწორედ ამ თვითშეფასების საფუძველზე მოხდა. მიუხედავად ძალიან პოზიტიური ტენდენციებისა, არსებობს პრობლემები, რომელთა გადალახვისთვის ახალი ენერგია, ახალი რეფორმებია საჭირო.

– გარდამავალი მთავრობის შემდეგ, წულუკიანი თანამდებობას შინარჩუნებს?

– არასამთავრობო სექტორი, რომელიც ამ საკითხს აყენებს, ამ მოთხოვნას იმით ხსნის, რომ სასამართლოს რეფორმა წარუმატებელია და ამიტომ უნდა გადადგეს წულუკიანი თანამდებობიდან. მე გეტყვით, რომ არა სასამართლოს რეფორმის წარმატება, სასამართლო პროკურატურის დანამატად და ნოტარიუსად დარჩებოდა, როგორც ეს იმ დროს იყო, როდესაც ეს არასამთავრობო ორგანიზაციები სააკაშვილის ხელისუფლებით კმაყოფილები იყვნენ. ფაქტია, რომ სასამართლოს გამამართებელი განაჩენების მაჩვენებელი 0,0% აღარ არის. თუნდაც, ამ ტრაგედიის, ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის ფაქტზე გამოჩნდა, რომ სასამართლომ დამოუკიდებელი გადაწყვეტილება მიიღო.

– თუმცა, რეფორმის პროცესი ხომ უნდა გაგრძელდეს?

– არათუ უნდა გაგრძელდეს, უფრო ინტენსიური უნდა გახდეს. სასამართლო სისტემის რეფორმა გაგრძელდება. მიღებული მემკვიდრეობის გასუფთავებას, დახვეწას გარკვეული დრო სჭირდება. სასამართლოს სისტემაში რევოლუციური ცვლილებები 2012 წელს ნამდვილად დამაზიანებელი იქნებოდა. ეს თავის დროზე სააკაშვილმა გააკეთა. ჩვენ იგივე არ გავაკეთეთ, რადგან გამოვიდოდა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ სააკაშვილის პერიოდის მოსამართლეები სახლში გაუშვა და თავის მოსამართლეები დანიშნა. ასეთმა გადაწყვეტილებებმა, მაგალითად, თავის დროზე პოლონეთში საკმაოდ სერიოზული კრიზისი გააჩინა, რაც ევროკავშირთან სერიოზულ პრობლემებს უქმნის პოლონეთის ხელისუფლებას. ჩვენ, გადავწყვიტეთ, ევოლუციის გზით წავიდეთ და არ რევოლუციის.

– რაც შეეხება განათლებისა და კულტურის სამინისტროს გაერთიანებას, თითქოს იყო საუბარი, რომ ბახტაძემ თქვა, რომ ის დაფიქრდება, გაერთიანდეს თუ არა ეს სამინისტროები. საბოლოოდ რა არგუმენტით გადაწყდა ეს გაერთიანება?

– მე ვფიქრობ, რომ კულტურა თან უნდა მისდევდეს ადამიანის განათლებას, მის განვითარებას საბავშვო ბაღიდან მოყოლებული. ეს არის ამ ცვლილების პათოსი და არა ის, რომ ორი უწყება ერთმანეთს მექანიკურად უერთდება. ჩვენი საუკეთესო ტრადიციების უფრო ფართოდ გაშლა ხდება მომავალ თაობაში. ამ გაერთიანებას სხვა იდეოლოგია და კონცეფცია უდევს საფუძვლად. სამწუხაროდ, იხილავენ ისე, როგორც ორი უწყების მექანიკურ გაერთიანებას.

– და ბოლოს, ბატონო გია, დავით ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები შეიძლება აუცილებელი გახდეს. მართლაც შეიძლება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დღის წესრიგში დადგეს?

– ჩემი აზრით, თუკი ხელისუფლება ვერ აჩვენებს შედეგებს, მაშინ ეს ხელისუფლება ხალხის მიერ უნდა იყოს გადარჩეული. თუმცა, როგორც კი ვადამდელი გაისმის, მაშინვე წარმომიდგენია დაძაბულობის ის ხარისხი, რაც საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება. ამიტომ, ყველაფერს მივყვეთ გეგმაზომიერად, კანონის შესაბამისად და მე ასე მგონია, რომ ახალი მთავრობა ძალიანაც ეფექტური იქნება და ეს საკითხი დღის წესრიგში საერთოდ არ დადგება. პოლიტიკური შემადგენელი დღეს ძალიან რთული აქვს ჩვენს ქვეყანას. ზოგადად მგონია, რომ საზოგადოება თავის გადაწყვეტილებას მიიღებს, მათ შორის საპრეზიდენტო არჩევნებზე.

ზაზა ხატიაშვილი: „ბახტაძე ცხეში უნდა იჯდეს და პრემიერად დაგვინიშნეს“

ივანიშვილმა შესაძლოა გაქცევა მოასწროს და ჩვენ კი დაქცეული ქვეყანა შეგვრჩება

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ადვოკატთა ასოციაციის ყოფილი პრეზიდენტი, უფლებადამცველი **ზაზა ხატიაშვილი** პასუხობს.

– ბატონო ზაზა, პრემიერ-მინისტრი სამინისტროების ოპტიმიზაციის შესახებ დღევანდელ მთავრობის სხდომაზე ისაუბრებს. თუმცა საუბარია იმის თაობაზეც, რომ მინისტრი, რომელიც ყველაზე დიდ უკმაყოფილებას იწვევს საზოგადოებაში, თანამდებობაზე რჩებაო. საუბარია თეა წულუკიანზე. რას იტყვით თქვენ?

– ქვეყანაში არის ქაოსი და ამ ქაოსის დალაგება ფიზიკურად არის წარმოუდგენელი. ეს რომ ასე იქნებოდა, ამაზე არაერთხელ მისაუბრია. როდესაც წინა მთავრობას ამტკიცებდნენ, მაშინაც გავაკეთე განცხადება, რომ წულუკიანი და მღებრიშვილი არ დაემტკიცებინათ, თორემ ეს ქვეყანა შევიდოდა ჩიხში. მღებრიშვილი გააგდეს ჩემი განცხადებიდან ერთ წელში, ხოლო თეა წულუკიანის უმოქმედობამ შექმნა ამხელა ჭაობი!

– საუბარია, რომ ბიძინა ივანიშვილს წულუკიანის მისამართით არ აქვს პრეტენზიებიო.

– გამოვიდა ინფორმაცია, რომ ბიძინა ივანიშვილმა უსაყვედურა პრემიერ კვირიკაშვილს, რომ ერთი მილიარდი დოლარი ვალი აიღეო და ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ მოსთხოვა განმარტებების გაკეთება. მოდით აქედან დავიწყოთ. როდესაც ვსაუბრობთ, თუ რატომ არ უნდა იყოს თეა წულუკიანი ახალ მინისტრთა კაბინეტში. ოპოზიცია მასთან სასაუბროდ მივიდა მოუმზადებელი. თეა წულუკიანი თავს რომ იცავდა, ესენი აკეთებდნენ პოლიტიკურ განცხადებებს. მე თქვენ გეტყვით, სამართლებრივად თეა წულუკიანი რატომ არ უნდა იყოს იუსტიციის მინისტრი!

– რატომ?

– გარდა იმისა, რაც მან ჩაიდინა, რომ სასამართლო რეფორმა გაანადგურა, მოსპო მთლიანად. მურუსიზაცია და ჩინჩალიზაციაა სასამართლო სისტემაში, ევროპის სასამართლოსთვის მოსამართლეები ისე შეარჩია, რომ ორჯერვე უკან გადმოგვიგდეს. ევროსაბჭოს ქვეყნებში პირველი ქვეყანა ვართ, რომლის სიაც ორჯერ ჩავარდა. ეს ყველაფერი ხომ ვიცით, რაც ჩაიდინა წულუკიანმა, მაგრამ ჩვენ ასევე უნდა ვთქვათ...

– კიდევ რაში სდებთ ბრალს?

– როდესაც ივანიშვილმა, ქვეყნის ფეოდალმა მმართველმა დააყენა მოქმედი მოურავი პრემიერ-მინისტრად და გავრცელდა ინფორმაცია, რომ კვირიკაშვილმა მილიარდდოლარიანი სესხი აიღოო. არ ვიცი, იცის თუ არა ეს საზოგადოებამ, ვინ არის პასუხისმგებელი ამ სესხთან ექსპერტიზაზე?!

– ვინ არის?

– ეს არის საქართველოს მთავრობის დადგენილება №389 2013 წლის 30 დეკემბერი, რითაც დამტკიცდა იუსტიციის სამინისტროს დებულება. მესამე მუხლის პირველი პუნქტი რომ იწყება, მთავარი ბე პუნქტი პირდაპირ იწყება ამ ჩამონათვალით, რომ სახელმწიფო ვალის აღებასთან, კრედიტებზე, სახელმწიფო გრანტების გაცემასთან დაკავშირებით, სამართლებრივი ექსპერტიზა ევალება ჩაატაროს იუსტიციის სამინისტრომ! ამ მილიარდ დოლარის ვალს რომ ედავებიან კვირიკაშვილს, მასზე ექსპერტიზის ჩატარების უფლება ჰქონდა იუსტიციის სამინისტროს! სამინისტროს ვინ წარმოადგენს?! – იუსტიციის მინისტრი. აი იმ განზომილებითაც კი, რომ თეა წულუკიანი სასამართლო პოლიტიკაზეა პასუხისმგებელი და ჩავარდა მთლიანად ეს რეფორმები, ამის გამო ხომ უნდა გადააყენონ წულუკიანი? ასევე იმის გამოც უნდა გადააყენონ, რომ ეს მილიარდიანი ვალი მისი პასუხისმგებლობაც იყო! ის ვალდებული იყო ექსპერტიზა ჩაეტარებინა და დადებითი დასკვნა გაეცა. თუ დადებითი დასკვნა არ იქნებოდა, სახელმწიფო ამ ვალს ვერ აიღებდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ იყო დადებითი დასკვნა!

– ბიძინა ივანიშვილს კვირიკაშვილთან ერთად პასუხისმგებლობა თეა წულუკიანისთვისაც უნდ დაეკისრებინა?

– რა თქმა უნდა! მთავარი ექსპერტიზა მას უნდა ჩაეტარებინა. ამიტომ, ჩემო კარგო, ჩვენ თუ ვსაუბრობთ, რომ პროკურორი გადადგა, პროკურატურის რეფორმა ჩავარდა, იგივე დადგენილება გვეუბნება, რომ იუსტიციის მინისტრი ახორციელებს პროკურატურის ორგანოების საერთო ხელმძღვანელობას.

– უმრავლესობის დეპუტატები აკეთებენ განცხადებებს, რომ თეა წულუკიანს წამოწყებული აქვს საერთაშორისო პროცესი 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით და სანამ ამ საქმეს ბოლომდე არ მიიყვანს, ის უნდა დარჩეს თანამდებობაზეო. ამაზე რას იტყვით?

– აბა რას იტყვიან? რაღაც ხომ უნდა თქვან! ეს პროცესი თავის დროზე ადეიშვილმა წამოიწყო და მაშინ დავაბრუნოთ ადეიშვილი. ჩვენ ისიც კარგად გვახსოვს, რომ თეა წულუკიანმა

გაგრძელება მე-5 გვერდზე

სიმონ ნოზაძე: „ნარკოტიკების აღკვეთის საქმეში უშიშროებამ შეიძლება მხოლოდ დამხმარე როლი ითამაშოს“

გულიკო ბალაძე

ინტერვიუ პარლამენტის ნეარ სიმონ ნოზაძესთან

– ბატონო სიმონ, თქვენი ერთ-ერთი გამოსვლა გამახსენდა ნიკა მელიას ქმედების საპასუხოდ, როცა ნიკა მელიამ ერთგვარი მაპროვოცირებელი შეტევა განახორციელა პრემიერ კვირიკაშვილის მიმართ. თქვენ მას გაახსენეთ უშიშროების აკადემიაში სწავლის პერიოდი და ის მეთოდები, რასაც მას იქ ასწავლიდნენ, რაზე მიანიშნეთ?

– დამატებით კომენტარს არ ვაკეთებ.

– რატომ?

– იმიტომ, რომ თვითონაც ყურადღებით მისმენდა. რაც მაშინ ნიკა მელიას ვუთხარი, კეთილი განწყობით იყო ნათქვამი.

– კვირიკაშვილზე პროვოკაციული შეტევა იმიტომ გავიხსენე, რომ ახლახან ნიკა მელიამ მსგავსი პროვოკაციული შეტევა შს მინისტრ გახარიაზე განახორციელა. შთაბეჭდილება დამრჩა, რომ გახარიას პროვოცირებაც უნდოდა.

– რა ვქნათ, ის პოლიტიკური ძალა, რომელსაც ნიკა მელია ეკუთვნის, ეტყობა, ასეთ პრინციპზეა აგებული. ეტყობა, მათი ლიდერი ასეთი ქმედებებისკენ მოუწოდებს. მე მაშინ ჩემი სათქმელი ვუთხარი. რაც ვუთხარი, გაიგო. რა თქმა უნდა, რაც დავინახე, ის ვუთხარი. ამ თემაზე მეტ კომენტარს ვერ გავაკეთებ.

– შეგიძლიათ ახსნათ, რა შუაშია უშიშროების სკოლა? უშიშროების სკოლაში ასწავლიან, როგორ უნდა გამოიყვანო პიროვნება მწყობრიდან?

– სხვა გაზეთმაც მთხოვა ამაზე ინტერვიუ, მაგრამ უარი ვუთხარი. მე მეტ კომენტარს ვერ გავაკეთებ. ნიკასთან ურთიერთობის გაფუჭება არ მინდა. ჩემი იმ გამოსვლის აზრი ის იყო, მეგობრული განწყობით მეთქვა სათქმელი.

– რა სათქმელი?

– მიმეთითებინა. რაც ვუთხარი, ნიკამ კარგად იცის. ამომწურავად ვუთხარი, რაც ნიკას უნდა გაეგო.

– ნაცმოძრაობას რა უნდა, რის მიღწევას ცდილობს?

– რასაც პარლამენტში ვუყურებ, ნაცმოძრაობას აშკარად ძლიერი ინტელექტი გამოეცალა, როცა პარტია გაიყო. გონიერება ნიკა მელიასა და რომან გოცირიძესაც არ აკლიათ, მაგრამ იდეოლოგი გიგა ბოკერია იყო, წამყვანი ძალა ბატონი დავით ბაქრაძე გახლდათ. ასევე იქ არიან ზურაბ ჭიაბერაშვილი, გიგი წერეთელი. ყველა მათგანი ევროპულ საქართველოში წამოვიდა. რაც დარჩა, ძალაზე, აგრესიაზე დაფუძნებული პოლიტიკაა.

– მაინც ერთნი არ არიან?

– ხომ ხედავთ, ევროპულმა საქართველომ მათ დაგეგმილ აქციებში მონაწილეობა აღარ მიიღო, მიუხედავად იმისა, რომ ორივე პროდასავლური პარტიაა. ორივე ერთ პლატფორმაზე დგას. ორივე წლების მანძილზე (მენშევიკებისა და ბოლშევიკების მსგავსად) ერთ პოლიტიკურ მიმდინარეობას ეკუთვნოდა. მე ნაციონალების ქმედება არ მომწონს. ეს ის გზა არ არის, რომლითაც ამომრჩევლის ნდობა შეიძლება მოიპოვო. ეგენი პოპულარობის მოპოვების მცდარ გზას ეძებენ.

– ნაციონალებს ძალიან დიდი იმედი აქვთ, რომ მომავალ არჩევნებში გაიმარჯვებენ,

– არა, ვფიქრობ, დაახლოებით ხმების 10-12%-ს მიიღებენ. საპრეზიდენტო კანდიდატის გამარჯვებაზე ლაპარაკიც არ იქნება. არა მგონია, ნაცმოძრაობის კანდიდატმა შეძლოს გამარჯვება.

– ნაციონალებს პრეზიდენტობის კანდიდატად ვინ შეიძლება ჰყავდეთ?

– ნაცმოძრაობის პრეზიდენტობის კანდიდატი ნაციონალებიდან რომელიმე შეიძლება იყოს. შეიძლება პრეზიდენტობის კანდიდატად ბატონი ნიკა წარმოადგინონ. გააჩნია, რას გადაწყვეტს მათი პარტიის ხელმძღვანელი. ნაცმოძრაობაში ძირითადად ყველაფერს მიხეილ სააკაშვილი წყვეტს. რასაც მიხეილ სააკაშვილი გადაწყვეტს, ისე იქნება. ფაქტია, რომ ნაცმოძრაობას დამოუკიდებელი კანდიდატი ეყოლება.

– ისე, ნიკა მელიას თქვენი მითითება აშკარად არ გაუთვალისწინებია, რადგან გამოჩნდა, როგორ ცდილობდა გიორგი გახარია აყოლიებას.

– ნიკა რომ ძლიერი პიროვნებაა, ამაზე ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ ძლიერია ბატონი გიორგი გახარია. ხომ იცით, პროფესიონალი ვარ და ეგ არ გამომეპარებოდა. ბატონი გახარია აშკარად ძლიერი პიროვნებაა. რაც მთავარია, ხალხმა მისი ირწმუნა.

მიტინგზე ხალხი მაინც აღგზნებულია, მიტინგს სხვა ფსიქოლოგია მართავს. მიტინგზე ბატონი გახარიას გამოსვლა, მერწმუნეთ, ვაჟკაცობა იყო. მან იცოდა, რასაც აკეთებდა. გიორგი გახარია მიტინგზე შეგნებულად მივიდა და რა მიზანიც ჰქონდა, მიაღწია, ძლიერი პიროვნებაა. თანაც ყველაფერს კანონიერად აკეთებს. ხომ დაინახეთ, რამდენჯერ ელაპარაკნენ, პასუხს სთხოვდნენ, მან კი აუხსნა, კანონით ასეა და ეს გავაკეთეთო.

იგივე კლუბებში შესვლა კანონიერი იყო. აღსაკვეთია ის უმსგავსობა, რაც ჩვენი ახალგაზრდების სიცოცხლეს ემუქრება. ახალგაზრდები ერთმანეთზე მიყოლებით იღუპებიან.

– ერთი ახალგაზრდა ორი დღის წინ კიდევ დაიღუპა.

– დიახ, ორი ძმა რომ გაითიშა, ერთი გარდაიცვალა, მეორე კი მართვით სუნთქვაზეა. დედას ის ერთი მაინც გადაურჩეს. როგორი ტრაგედიაა, ოჯახს ერთი რომ გარდაეცვლება (თან ამ მიზეზით), ღმერთმა ნუ ქნას, მეორესაც რაიმე მოუვიდეს. გონს მოვა და იტყვის, რაც თვითონ გააკეთა, მსგავსი რამ სხვამ არ უნდა გააკეთოს.

– ნარკოტიკები უბედურებაა და ძალიან მეშინია, ახალგაზრდებისთვის დიდი ცდუნებაა. არ მინდა ჩვენი ახალგაზრდობა ნარკოტიკში ჩაიხრჩოს.

– ახალგაზრდებმა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება სწორად ვერ გაიგეს. როგორც მითხრეს, ახლა უკვე კარგ ტონად ითვლება, სკოლაში მარიხუანა თუ ვინმემ გასინჯა. ეს ინფორმაცია გადაუმოწმებელია, მაგრამ ძალიან მეშინია, რომ კონტროლი ხელიდან არ გაგვისხლტეს.

– საიდან შემოდის და ვრცელდება ეს მკვლელი ნარკოტიკი?

– ეს მკვლელი ნარკოტიკი კეთილგანწყობილ ადამიანებს არ შემოაქვთ. შესაძლოა, ეს ყველაფერი შეგნებულადაც ხდება, დივერსიის ნიშნებს შეიცავს. საიდან შემოდის ეს მკვლელი ნარკოტიკი და როგორ ვრცელდება, ამაზე იმ სამსახურებმა უნდა გააკეთონ განმარტება, ვინც ამაზე მუშაობს.

ადრე ნარკოტიკები უბრალო თემა იყო, ახლა მარიხუანამ ყველაფერი აურ-დაურია. მეუბნებიან, ბევრს აქვს გასინჯულიო. შეიძლება მარიხუანა პირველ ეტაპზე არ იყოს საშიში, მაგრამ, როგორც მეუბნებიან, მარიხუანა ტვინის უჯრედებს ცვლის.

აკაკი ზოიძემ მითხრა, რომ მარიხუანის მოხმარება ადამიანის ტვინის უჯრედებს ცვლის, მენტალიტეტს და ინტერესს უცვლის. თანაც, მარიხუანის მომხმარებელთა 30% შემდეგ მძიმე ნარკოტიკების მომხმარებელი ხდება. თვითონ მარიხუანა ადამიანის ინტელექტის ძალიან დამანგრეველი და დამაზიანებელი ყოფილა.

– ბატონო სიმონ, უშიშროების სამსახურები კარგად მუშაობენ, რომ ხელისუფლება ინფორმირებული იყოს, ნარკოტიკი საიდან შემოდის?

– ნარკოტიკების საქმეში უშიშროებამ შეიძლება მხოლოდ დამხმარე როლი ითამაშოს. ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის უწყება შს სამინისტროა. უშიშროება, რა თქმა უნდა, თავისი ოპერატიული ძალებითა და შესაძლებლობებით დაეხმარება, მაგრამ ეს შს სამინისტროს საქმეა და კარგადაც ამუშავდნენ. რამდენიმე ჯგუფი დააკავა, ნარკოტიკები ამოიღო.

ახალმა მინისტრმა მკაცრად მოკიდა ხელი. აშკარაა, რომ მანდ რაიმე კორუფციულ გარიგებას ადგილი არ ექნება. ბატონი გახარია იმდენად მოტივირებულია, რომ, ეტყობა, ბევრ რამეს აკონტროლებს. საზოგადოების მხარდაჭერა თუ იქნება, მერწმუნეთ, ამ მრისხანე სენს დავამარცხებთ.

– მაქვს ინფორმაცია, რომ ფონიჭალაში, ფაქტობრივად, ყრია ნარკოტიკი. იქ არის სტადიონი და რომ მოსაღამოვდება, პირდაპირ ღიად მიდის ვაჭრობა. ამის შესახებ პოლიციამაც იცის, მაგრამ არაფერს ეუბნებაო.

– პოლიციამ ფაქტი უნდა დააფიქსიროს და ფაქტზე დაიკავოს. საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ისინი ჩვენებას არ მისცემენ. ამიტომ, როცა მასალებს, მტკიცებულებებს აგროვებენ, რეაგირება მაშინვე არ ხდება. ინფორმაცია რომ გროვდება, შემდეგ ინფორმაციის რეალიზაცია ხდება. ხომ ხედავთ, პოლიციას ყოველ ფეხის ნაბიჯზე როგორ ედავებიან. უამრავი ორგანიზაცია ჩასაფრებულია, პოლიცია რა შეცდომას დაუშვებს. პირიქით უნდა იყოს. ნარკოტიკების მოხმარება იმდენად მტკივნეული საკითხია, პოლიციისთვის წახალისებაც უნდა ხდებოდეს, ოღონდ ამ საშიშ სენს ებრძოლონ.

– წახალისებაზე გამახსენდა, სააკაშვილი ხალხის ცემისთვის ახალისებდა პოლიციას და ჩვენც წავახალისოთ კარგი საქმისთვის.

– ძალიან ცუდი იყო, რომ სააკაშვილი პოლიციას ადამიანების ცემისთვის ახალისებდა. მარაზმი იყო, როცა „მიშა“, „მიშას“ სკანდირებდნენ. ამაზრზენი იყო, როცა ადამიანებს პლასტმასის ტყვიებს ესროდნენ. ეს პირი იყო მოსული. ვკითხე, რა გჭირს-მეთქი და პლასტმასის ტყვია მომარტყესო, კაცს ცალი თვალი დააკარგვინეს. მაშინ ბევრს ესროლეს პლასტმასის ტყვია. მათ შორის, შალვა ოგბაიძეც კინაღამ დააბრმავეს.

მირიან მირიანაშვილი: „ტრამპი და პუტინი საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატზე ისაუბრებენ“

მარიამ მჭედლიშვილი

რა შემთხვევაში იქნება რევოლუცია

საქართველოში მიმდინარე პროცესებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, საქართველოს გადარჩენის მოძრაობის ლიდერ**მირიან მირიანაშვილს.**

– წინა ინტერვიუში აღნიშნეთ, რომ რუსეთი აღვივებს დაძაბულობას საქართველოში საკუთარი მიზნებისთვის. მოსკოვის მთავარ ამოცანად დაასახელეთ საქართველოს თაობაზე ვაშინგტონთან შეთანხმება. მას შემდეგ ბევრი რამ მოხდა, მთავრობა შეიცვალა..

– საპროტესტო აქციები რუსეთის პროვოცირებული იყო. ბუნებრივია, აქციის ყველა ორგანიზატორს თუ მონაწილეს ვერ დავდებთ ბრალს რუსეთთან გარიგებაში. იქ იყვნენ გულწრფელი აღშფოთებული ადამიანებიც. მთლიანობაში, იმ მოვლენებში რუსეთმა შეასრულა მაპროვოცირებელი როლი. კრემლს საქართველოში ერევნის მოვლენების გამეორების ეშინია.

– თქვენი განცხადებებით, რუსეთს საქართველოს საკვანძო თანამდებობებზე ისეთი პირების მოყვანა აწყობს, რომლებიც არ ასოცირდებიან რუსეთთან. ამასობაში, რუსეთთან ასოცირებულმა მინისტრმა ჯანელიძემ თანამდებობა დატოვა.

– ჩემი ნათქვამი ჯანელიძესთან დაკავშირებით ჩქარა გამართლდა. ეს იყო კაცი, რომელიც წინა ხელისუფლების დროს ლავროვის თანაშემწის მითითებით დაინიშნა მინისტრის მოადგილედ. მინისტრობისას მას ნდობა არ ჰქონდა დასავლეთში. ამის გამო რუსეთმა დაიწყო ფსონის სხვა ფიგურებზე დადება. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრისას ერთი საყურადღებო ფრაზა თქვა. მისი სიტყვებით, საქართველოს მთავრობაში რუსეთი თავის სადაზვერვო კადრებს ნიშნავს. მას მხედველობაში ჯანელიძე ჰყავდა.

– საზოგადოებამ შეიძლება არ დაიჯეროს, რომ რუსეთი ერევა საქართველოს მინისტრებისა თუ მოადგილეების დანიშვნაში.

– ინფორმირებულ საზოგადოებას ეს არ გაუკვირდება. სალომე ზურაბიშვილის შემდეგ ყველა საგარეო საქმეთა მინისტრი მოსკოვის მოყვანილი იყო. ეს თანამდებობა იქცა ლავროვის საკუთრებად. რამდენიმე თვის წინ მას ჰქონდა გეგმა, რომლითაც მიხეილ ჯანელიძე გიგა ბოკერიას უნდა ჩაენაცვლებინა. ამას ამერიკელებმა მხარი არ დაუჭირეს. ლავროვს, როგორც ჩანს, წარმოდგენა არა აქვს იმაზე, რამდენად ოდიოზურად აღიქმება საქართველოში ბოკერია. ის, რომ ქართველ ხალხს ამ საკითხებს ნაკლებად ეკითხებიან, ეს კიდევ სხვა საკითხი და სამწუხარო რეალობაა. რუსულ-ამერიკული ზედამხედველობა არ ითვალისწინებს იმას, რომ საკუთარი ბედის განმკარგავი ხალხი იყოს. რუსეთმა დააჯერა დასავლეთი, რომ ქართველებს თვითონ არაფერი შეუძლიათ.

– რას მიაღწია რუსეთმა ბოლოდროინდელი აქციებითა და სამთავრობო ცვლილებებით?

– ამ ეტაპზე – პრემიერის შეცვლას. კვირიკაშვილი არ ყოფილა რუსეთის მოწინააღმდეგე და დასავლეთთან მჭიდრო კავშირების მქონე ჩინოსანი, თუმცა კრემლს მისი რატომღაც ეშინოდა. კვირიკაშვილს დასავლეთში არაფრით გამორჩეულ მოხელედ აღიქვამდნენ. პომპეომ კვირიკაშვილთან შეხვედრის შემდეგ მას უხერხემლო უწოდა. მიუხედავად ამისა, რუსეთს კვირიკაშვილის მაინც ეშინოდა. მის სახელს ერევნის მსგავს შესაძლო გადატრიალებას უკავშირებდა და ამ კაცის ჩანაცვლება ერჩია. ჩრდილოელი მეზობლისთვის ბახტაძე პრობლემატური არ უნდა იყოს.

– ითვლება, რომ გიორგი კვირიკაშვილს აშშ-სთან გარკვეული ურთიერთობები მაინც ჩამოუყალიბდა..

– ხელის ჩამორთმევა და მისალმება ჩამოყალიბებულ ურთიერთობებს არ ნიშნავს. საქმე სხვაგვარადაა. ამიტომ, კვირიკაშვილის განცხადება იმაზე, რომ შეეძლო, ვაშინგტონიდან ზარის დახმარებით დარჩენილიყო თანამდებობაზე, მაგრამ ეს არ გააკეთა, მოწყვეტილია რეალობას. ვაშინგტონს ცოტა ხნით უნდოდა მისი თანამდებობაზე შეყოვნება. ამის მიზეზი იყო ბიძინა ივანიშვილის გაპრემიერების შიში. როცა გაცხადდა, რომ ივანიშვილი პრემიერობას არ აპირებს, ამის საჭიროება მოიხსნა.

– კვირიკაშვილს იმასაც სდებენ ბრალად, რომ რუსთაველზე აქციების უკან ის იდგა.

– ეს აქციები მისი საწინააღმდეგო იყო. ეს მოვლენები დამთავრდა მისი გადადგომით.

– რუსეთი აშშ-სთან ისევ ცდილობს მორიგებას საქართველოზე?

– რასაკვირველია. რუსეთი აცნობიერებს

ამერიკის დომინირების ზრდას რეგიონში, აქედან გამომდინარე, უკან იხევს, თუმცა, კრემლს საქართველოში რაღაც სეგმენტების შენარჩუნება უნდა. საქართველოს ეკონომიკის ნამდვილი მფლობელი რუსეთია. მის ინტერესებშია ვაშინგტონთან დალაპარაკება.

– აშშ-რუსეთის დიალოგი უმაღლეს დონეზეც რეალურია.

– ტრამპსა და პუტინს შორის შეხვედრა, სავარაუდოდ, 15 ივლისისთვის ინიშნება. უკვე გადაწყვეტილია, რომ ისინი საქართველოზეც ილაპარაკებენ.

– მთავარია, ეს საუბარი საქართველოსთვის სასარგებლოდ დამთავრდეს.

– ამ შეხვედრაზე აუცილებლად შეეხებიან საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებს. გვინდა ჩვენ ეს თუ არა, საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატების საკითხი გარეთ წყდება. ამ სიტუაციაში ლავროვი თავისას ეცდება. მისი რჩეული კანდიდატი „ევროპული საქართველოდან“ იქნება. სერგეი ლავროვი იმოქმედებს, რათა „თავისი“ პარტია, ანუ „ევროპული საქართველო“ დააწინაუროს, მაგრამ მას საამისოდ შანსები სულ უფრო უმცირდება. მიმდინარე ტენდენციები მის სასარგებლოდ არ ვითარდება. ლავროვს აღარ დარჩა შანსი, რომ ბოკერია ახლა უკვე პრეზიდენტობის კანდიდატის რანგში წამოაყენოს.

– ის, თუ ვინ იქნება პრეზიდენტობის რეალური კანდიდატი, ამ უმაღლესი დონის შეხვედრის შემდეგ გვეცოდინება?

– ამაზე ტრამპს და პუტინს ექნებათ საუბარი. თუ ეს საკითხი მანამდე არ შეთანხმდა, მაშინ უნდა გადაწყდეს.

– ბიძინა ივანიშვილის კანდიდატურა ერთ-ერთი განსახილველი მაინც იქნება?

– რასაკვირველია. ის მისაღები იქნება იმ შემთხვევაში, თუ მონაწილეობას მიიღებს რუსეთის გავლენის დამცრობის პროცესში. სხვა კანდიდატურებიც მოიაზრება, მაგრამ ყველაზე უკეთესი ივანიშვილის ვარიანტია. ასეთი საკითხები მაღალ ფორმატებზე წყდება და იმის ძახილი, რომ ხალხს არავინ არაფერს ეკითხება, უმოტივაციო რიტორიკაა. სამწუხაროა, რომ არჩევანს საზოგადოება არ აკეთებს. ამაში დიდწილად დამნაშავეა ხალხი, რომელიც ამას ეგუება. თუ ამ შეხვედრაზე თანხმობას ვერ მიაღწიეს, შეიქმნება რევოლუციური სიტუაცია და ხელისუფლება შეიცვლება რევოლუციით.

– ვინ მოაწყობს საქართველოში მორიგ რევოლუციას?

– როგორც ამერიკელები იტყვიან, ეს მილიონდოლარიანი კითხვაა. ამაზე პასუხი ახლა შეუძლებელია. საინტერესოა, რომ დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა ჰგავს სომხეთში ხავერდოვანი რევოლუციის წინა პერიოდში შექმნილ ვითარებას. რუსეთი იქაც ცდილობდა ამერიკელების დაყოლიებას გარიგებაზე, მაგრამ ამან შედეგი არ გამოიღო. მოხდა ცნობილი მოვლენები პაშინიანის მონაწილეობით.

მოსკოვში ნევროზული მდგომარეობაა. იქ ვერ მოუნელებიათ სომხეთის გადატრიალება. კრემლს ასეთი მოვლენებისა საქართველოშიც ეშინია. რუსეთი რომ პოზიციებს არ კარგავდეს, მაშინ რევოლუციური სცენარი ჩვენშიც გამართლებული იქნებოდა. ვინაიდან რუსეთი უკვე დათმობაზე მიდის, ჯობია, ყველაფერი ევოლუციურად და არა რევოლუციურად განვითარდეს.

ტრამპისა და პუტინის მომავალი საუბრის მთავარი თემა იქნება რუსეთის დაყოლიება უარზე აგრესიულ საგარეო პოლიტიკაზე. რუსეთი ჰიბრიდულ ომში კაპიტულაციას გამოაცხადებს. საქართველო ამ საკითხების ერთ-ერთი ნაწილია. თუ ივანიშვილის კანდიდატურაზე ამ ფორმატში შეთანხმდნენ, მას აზრს აღარც შეეკითხებიან. ზოგადად, ბიძინა ივანიშვილს უჩნდება შანსი, მიიღოს მონაწილეობა საჭირო პროცესებში და გადაიგდოს ის ნეგატიური შლეიფი, რომელიც საქართველოში ჩამოუყალიბდა.

ტრამპისა და პუტინის შეხვედრამდე, სულ მალე, მოსკოვში ჩავა ტრამპის მრჩეველი ბოლტონი. არ არის გამორიცხული, ივანიშვილის ბედი მაშინ გადაწყდეს. თუ ეს მოხდა, მაშინ უახლოეს ხანში ტაბუ მოეხსნება საპრეზიდენტო არჩევნების თემას. ბოლო სამი თვე იქნება, რაც საპრეზიდენტო კამპანია დირექტიულად აიკრძალა.

ზაზა ხატიაშვილი: „ბახტაძე ციხეში უნდა იჯდეს და პრემიერად დაგვინიშნეს“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

მთავარ პროკურორად დაგვინიშნა ბოტასების ქურდი, ფარცხალაძე! დღეს თუ თეა წულუკიანს სავარძელს შეუნარჩუნებენ, ეს ძალიან კარგია ოპოზიციისთვის.

– რა თვალსაზრისით?

– თეა წულუკიანის დატოვება, ეს არის ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლების დასასრული და ბოლომდე გაპარტახება. რას გვერჩიან, ხომ შეიძლება ნორმალური იუსტიციის მინისტრი ეღირსოს ამ ქვეყანას?! დღეს ოპოზიცია კი ყვირის, მაგრამ ისიც იციან, რომ მისი დარჩენა მათთვის ძალიან მომგებიანია. ეს ოპოზიციას აწყობს, რადგან ეს აჩქარებს ივანიშვილის ხელისუფლების აღსასრულს. მაგრამ არ გვაწყობს ჩვენ, ვინც პოლიტიკოსები არა ვართ! წულუკიანს რომ ტოვებენ, იცით რატომ ტოვებენ?!

– რატომ?

– იმიტომ, რომ ლევან მურუსიძე 25 დეკემბრამდე სამუდამო ვადით უნდა დაინიშნოს სასამართლოში.

– და ეს უნდა გააკეთოს წულუკიანმა?

– წულუკიანი გააკეთებს, აბა ვინ გააკეთებს. მან თავისი მისია ბოლომდე უნდა შეასრულოს. ოპოზიციას სწორედ ამიტომ აწყობს წულუკიანის დარჩენა. წულუკიანის ხელში დაინიშნება ლევან მურუსიძე უვადო მოსამართლედ და ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებას ძალიან მალე დასვამენ საბრალდებო სკამზე. უფრო მალე, ვიდრე მათ ჰგონიათ!

– ცვლილებებია დაგეგმილი, სამინისტროების შემცირება და საუბარია, რომ სასჯელაღსრულების სამინისტრო იუსტიციის სამინისტროსთან ერთიანდებაო. რამდენად სწორი ნაბიჯი იქნება ეს? ან თუ გაქვთ ინფორმაცია, სად მიჰყავთ კახა კახიშვილი?

– კახიშვილი არის ამ ხელისუფლების ერთადერთი ნათელი წერტილი. ეს ადამიანი ზის და მართლაც საქმეს აკეთებს. ის არ გასვრილა. თანაც მან ჩაიბარა ყველაზე მძიმე მემკვიდრეობა. იუსტიციის სამინისტრო აწყობილი იყო, წულუკიანი რომ მივიდა, მან, პირიქით, დაანგრია. კახიშვილმა კი ჩაიბარა ყველაზე დანგრეული უწყება. ჯერ ნაციონალები იყვნენ, მერე მღებრიშვილი იყო და ხომ წარმოგიდგენიათ, რა დონეზე დანგრეული უწყება გადაიბარა კახიშვილმა. ამ კაცმა ნულიდან დაიწყო სისტემის გაჯანსაღება. ამიტომ ეს ოპოზიციას აწყობს.

– რა აწყობს ოპოზიციას?

– რომ სასჯელაღსრულების სამინისტრო შეუერთდეს იუსტიციის სამინისტროს. რადგან ეს არის ერთადერთი სამინისტრო, რომელიც ცდილობს, რომ იყოს წარმატებული. ბოლომდე წარმატებული ვერ იქნები, რადგან ჯერ ისევ სააკაშვილის კადრებით არის სავსე ეს სისტემაც, რომლებიც წამებასა და არაადამიანურ მოპყრობაში მონაწილეობდნენ.

– თქვენ ფიქრობთ, რომ არ უნდა შეერწყას ერთმანეთს?

– არ უნდა შეერწყას, რადგან ეს პოლიტიკურად ოპოზიციას აწყობს. იმიტომ, რომ თეა წულუკიანი იუსტიციის სამინისტროს ვერ მართავს და პლუს ახლა დაუმატე ახალი სამინისტრო. წარმოგიდგენიათ, რა დღეში ჩავარდება ეს სამინისტრო, რომელიც როგორღაც კახიშვილმა დაალაგა?! იუსტიციის სამინისტროს რაც დამართა წულუკიანმა, იგივე მოუვა ამ საცოდავ სასჯელაღსრულების სამინისტროსაც. ეს ყველაფერი კი, რაც ახლა ხდება, ოპოზიციას აწყობს. რადგან თეა წულუკიანი ორივე სამინისტროს ხელმძღვანელად, ეს იქნება ქვეყანაში ახალი ქაოსის და ახალი უბედურების დასაწყისი! ამიტომ ეს სიტუაცია მე და ჩემნაირებს ნამდვილად არ გვაწყობს. ჩვენ გვინდა, რომ დალაგდეს ქვეყანა. აღარ იყოს წამება და არაადამიანური მოპყრობა.

– კახიშვილზე რას იტყვით?

– რაც შეეხება კახიშვილს, ვინაიდან ძალიან უჭირთ მთავარი პროკურორის კანდიდატურა, შეიძლება მთავარ პროკურორად წაიყვანონ. იმიტომ, რომ ბოტასების ქურდი ფარცხალაძისგან და შოთაძისგან განსხვავებით, სამოქალაქო საზოგადოების თვალში ყველაზე შერცხვენილი უწყებაა პროკურატურა, აქედან გამომდინარე ეცდებიან, რომ ისეთი პროკურორი მოიყვანონ, რომელიც სამოქალაქო საზოგადოებისთვის რაღაც დონეზე მაინც იქნება მისაღები.

– და შესაძლოა კახიშვილზე იფიქრონ?

– შესაძლოა. თუმცა ვიმეორებ, თუ სასჯელაღსრულებას წულუკიანს ჩააბარებენ, ამ უწყებას ამით განაჩენს გამოუტანენ! კახიშვილიც რომ დანიშნონ იუსტიციის მინისტრად, მასაც გაუჭირდება ამ ორი სამინისტროს მართვა. ეს ურთულესი საქმეა. ამ უწყებების შეერთება და მისი წულუკიანისთვის ჩაბარება, ვისაც ეს აზრად მოუვიდა, ეს არის ბიძინა ივანიშვილისთვის როგორი მახის დაგება იცით? ამ კაცს ძალიან მალე გაასამართლებენ. ხალხო, წულუკიანი კი არა, ისეთი პრემიერ-მინისტრი დაგვინიშნა ბიძინა ივანიშვილმა, რომლის მიმართაც იმდენი კითხვის ნიშანია.

– რას გულისხმობთ?

– მის სავარაუდო თაღლითობასთან დაკავშირებით... კაცი, რომელიც ცენტრ პოინტთან დაკავშირებული ფიგურა იყო და დღეს ცენტრ პოინტის მთელი ხელმძღვანელობა საბრალდებო სკამზეა, ციხეშია და ამ ადამიანს გვინიშნავენ პრემიერ-მინისტრად. მის ფონზე წულუკიანი შეიძლება ანგელოზად მოჩანდეს! ალბათ წულუკიანზე ვეღარაფერს იტყვის ხალხი, ისეთი პრემიერ-მინისტრი დაგვინიშნა ივანიშვილმა. წულუკიანზე მტკიცებულებები მაინც არ არის.

– მასზე რა მტკიცებულებებია?

– კაცი ისეთ კომპანიაში მუშაობდა წამყვან თანამდებობაზე, ცენტრ პოინტს ვგულისხმობ, რომლის მთელი ხელმძღვანელობა დღეს ციხეშია! სავარაუდოდ, ეს ადამიანი ციხეში უნდა იჯდეს! წინააღმდეგ შემთხვევაში რჩეულიშვილებიც უნდა გამოუშვან, გამოდის, ისინიც უდანაშაულოები ყოფილა. კაცი, რომელიც ციხეში უნდა იჯდეს, ბიძინა ივანიშვილმა დანიშნა პრემიერად. ბიძინა ივანიშვილი კიდევ თუ რამით გამაკვირვებდა, არ მეგონა! ეს ყველაფერი ქაოსს გამოიწვევს, შესაძლოა რევოლუციური სცენარითაც წავიდეთ. ეს ქვეყანას კი არ სჭირდება. თუ ვინმე იხეირებს ამით, მხოლოდ მავნე ოპოზიცია. ივანიშვილმა შესაძლოა გაქცევა მოასწროს და ჩვენ კი დაქცეული ქვეყანა შეგვრჩება.

შავი ჯიპების თემას მამუკა ბახტაძეც შეეჭიდება

გიორგი კვირიკაშვილმა თანამდებობა ისე დატოვა, რომ შავი ჯიპებიდან თანამდებობის პირების გადმოსმა ვერ მოახერხა.

– ვფიქრობ, დროა, საქართველოში შავი ჯიპების ეპოქა დავასრულოთ, რადგან ეს ყველას აღიზიანებს და არ დაგიმალავთ, მეც, მათ შორის, – განაცხადა რამდენიმე თვის წინ ჯერ კიდევ პრემიერმა კვირიკაშვილმა, თუმცა მისი განცხადება, ისე როგორც ბევრი სხვა, მხოლოდ პიარ განცხადებად დარჩა.

როგორც ჩანს, შავი ჯიპების თემა აქტუალური იქნება ახალი პრემიერ-მინისტრისთვისაც.

თბილისის მერის, კახა კალაძის განცხადებით, ახალ პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძეს შავ ჯიპებთან დაკავშირებით საკუთარი ხედვა აქვს, რომელიც სამთავრობო ავტოპარკს სასიკეთოდ შეცვლის.

ამის შესახებ კალაძემ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, რითაც უპასუხა კითხვას, რამდენად ტოვებს ძალაში მამუკა ბახტაძე ქვეყნის ყოფილი პრემიერის, გიორგი კვირიკაშვილის მიერ დაანონსებულ ინიციატივას, სამთავრობო უწყებებში შავი ჯიპები ეკოლოგიურად სუფთა და ნაკლებდანახარჯიანი ავტომობილებით უნდა ჩანაცვლებულიყო.

– არის განსხვავებული მიდგომები შავ ჯიპებთან დაკავშირებით და დაველოდოთ პრემიერის განცხადებას, – აღნიშნა კალაძემ და კითხვაზე: უნდა ველოდოთ თუ არა პრემიერ-მინისტრის ახალ ინიციატივას ავტომანქანების ჩანაცვლების საკითხზე, დასძინა: „დიახ, სასიკეთოდ უნდა ველოდოთ“.

– პრემიერი თვითონ გააჟღერებს ინფორმაციას, როგორ, რანაირად უყურებს ამ ჩანაცვლების პროცესს. არ მინდა წინასწარ, პრემიერის მაგივრად გავაკეთო განცხადება. რაც შეეხება მუნიციპალიტეტის დონეზე ავტოპარკის საკითხს, მერიას შავი ჯიპები აღარ ჰყავს. პირიქით, ზედამხედველობის სამსახურის რეფორმის ფარგლებში ახლა შევიძინეთ ჰიბრიდული ავტომობილები, ტექნიკა და უახლოეს მომავალში წარმოვადგენთ განახლებულ სამსახურს, – განაცხადა კალაძემ.

ცნობისთვის, მიმდინარე წლის 2 თებერვალს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა, რომ „დროა, საქართველოში დავასრულოთ შავი ჯიპების ეპოქა იმიტომ, რომ ყველას აღიზიანებს, მათ შორის, მეც“.

როგორც კვირიკაშვილმა აღნიშნა, დროა შეიცვალოს, როგორც მთავრობის ავტოპარკში არსებული მანქანების ფერი – შავი, ისე თავად ავტომანქანები გახდეს ეკოლოგიურად სუფთა.

კომერსანტი

საქართველოს ბანკების დეპოზიტებში აშშ დოლარის წილი 85.4 პროცენტია

საბანკო სექტორში განთავსებული არასაბანკო დეპოზიტების მოცულობამ 2018 წლის პირველი ივნისისათვის 20.0 მლრდ ლარი შეადგინა, რაც 137.7 მლნ ლარით, ანუ 0.7 პროცენტით მეტია პირველი მაისისათვის არსებულ მაჩვენებელზე (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 0.4 პროცენტით მეტი). მაისში, წინა თვესთან შედარებით, ადგილი ჰქონდა ვადიანი დეპოზიტების ზრდას 58.0 მლნ ლარით, ანუ 0.5 პროცენტით (გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტის გარეშე გაიზარდა 0.2 პროცენტით), ხოლო მოთხოვნამდე დეპოზიტები გაიზარდა 79.7 მლნ ლარით, ანუ 1.0 პროცენტით (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე – 0.8 პროცენტით).

ეროვნული ბანკის განცხადებით, დეპოზიტების ლარიზაციის კოეფიციენტმა მიმდინარე წლის პირველი ივნისისათვის 37.75 პროცენტი შეადგინა. პირველი მაისის მდგომარეობასთან შედარებით, დეპოზიტების ლარიზაცია გაიზარდა 0.17 პროცენტული პუნქტით (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით 0.27 პროცენტული პუნქტით).

ვადიან დეპოზიტებზე საშუალო წლიურმა შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 5.4 პროცენტი შეადგინა, მათ შორის ეროვნული ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე – 7.7 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე – 2.6 პროცენტი.

უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებში აშშ დოლარის წილმა 85.4 პროცენტი, ხოლო ევროს წილმა 11.1 პროცენტი შეადგინა.

კომერსანტი

რა ღირს სასტუმროში დასვენება საქართველოში

2018 წლის მაისში, აპრილთან შედარებით, 3, 4 და 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 2%-ით გაიზარდა; საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები კი 1.8%-ით შემცირდა. ამის შესახებ საერთაშორისო ორგანიზაციაPMCG-ის კვლევაშია ნათქვამი.

ამასთან, კვლევის თანახმად, 2018 წლის მაისში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა 137 ლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების ყველაზე მაღალი საშუალო ფასი – 157 ლარი (საშუალოზე 15%-ით მაღალი) თბილისში დაფიქსირდა.

– 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა მაისში 232 ლარი შეადგინა. ყველაზე მაღალი საშუალო ფასი 4-ვარსკვლავიან სასტუმროთა შორისაც თბილისში დაფიქსირდა და 261 ლარი (საშუალოზე 13%-ით მაღალი) იყო.

5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა კი, მაისში 399 ლარი შეადგინა. თბილისში, ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 610 ლარი შეადგინა, კახეთში – 358 ლარი, სამცხე-ჯავახეთში – 354 ლარი, ხოლო აჭარაში – 269 ლარი, – აღნიშნულია კვლევაში.

რაც შეეხება საოჯახო ტიპის სასტუმროებს, მათი საშუალო ფასი მაისში 72 ლარი იყო. კვლევის თანახმად, ყველაზე მაღალი ფასი საოჯახო ტიპის სასტუმროებში ქვემო ქართლისა და გურიის რეგიონებში დაფიქსირდა.

BPN.GE

შინაგან საქმეთა სამინისტრო 25 ივნისიდან 365 მართლწესრიგის ოფიცრის ვაკანსიაზე განცხადებების მიღებას აცხადებს

შინაგან საქმეთა სამინისტრო დღეიდან აცხადებს განცხადებების მიღებას 365 მართლწესრიგის ოფიცრის ვაკანსიაზე. მართლწესრიგის ოფიცრის პოზიციის დასაკავებლად აუცილებელი მოთხოვნაა უმაღლესი განათლება.

ასევე, დღეიდან, ფუნქციონირებას იწყებს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი –Officer.ge, რომელიც სპეციალურად მართლწესრიგის ოფიცრებისათვის შექმნილი საკომუნიკაციო არხია. მისი მეშვეობით მოხდება მართლწესრიგის ოფიცრის პოზიციაზე განცხადებების მიღება. ამასთანავე, ხსენებული ვებგვერდის გამოყენებით მოქალაქეებს შეეძლებათ მართლწესრიგის ოფიცრებთან დაკავშირებით საჭირო ინფორმაციის მიღება და მათ ტერიტორიას მიკუთვნებულ მართლწესრიგის ოფიცრებთან უშუალო კომუნიკაცია.

გარდა ამისა, იწყება მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის საინფორმაციო კამპანია. მედიაში განთავსდება სარეკლამო ვიდეორგოლი, ხოლო უახლოეს კვირებში, შინაგან საქმეთა სამინისტროში საინფორმაციო ღია კარის დღე გაიმართება, სადაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლება, უშუალო კომუნიკაციის ფორმით, დეტალური ინფორმაცია მიიღოს მართლწესრიგის ოფიცრის ვაკანსიის, მისი ფუნქცია-მოვალეობების, სამუშაო პირობების და სხვა საკითხების შესახებ.

შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარეობს შინაარსობრივი და სტრუქტურული რეფორმების პროცესი, რომლის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელია კრიმინალური პოლიციის რეფორმა. სწორედ კრიმინალური პოლიციის რეფორმის ფარგლებში ხდება საუბნო მიმართულების ტრანსფორმაცია, რის შედეგადაც, უბნის ინსპექტორის ნაკლებეფექტიანი მოდელის ნაცვლად ინერგება თანამედროვე, მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში აპრობირებული საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის კონცეფცია, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი წარმოადგენს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი მიზანია ტრადიციული საპოლიციო საქმიანობიდან საზოგადოებაზე ორიენტირებულ საპოლიციო მიდგომებზე გადასვლა და რეაქტიული მიდგომის ეტაპობრივი ჩანაცვლება პროაქტიული მიდგომით. ასევე, პოლიციასთან ერთად, საზოგადოების ორიენტირება უსაფრთხოებასა და მართლწესრიგის დაცვაზე. მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი ორიენტირებული იქნება პრევენციული ღონისძიებების განხორციელებაზე, დანაშაულისა და სამართალდარღვევების თავიდან აცილების მიზნით.

მართლწესრიგის ოფიცრის კომპეტენციაში შევა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა არასრულწლოვნებთან, ოჯახში ძალადობასთან, სამეზობლო დავებთან, უკანონო მიგრაციასთან, მოწყვლად ჯგუფებთან დაკავშირებულ პრობლემებსა და გამოწვევებზე რეაგირება.

მის ფუნქცია-მოვალეობებში, ასევე, შედის: დანაშაულის პრევენციაზე ორიენტირებული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება; ინფორმაციის შეგროვება, სისტემატიზაცია და პირველადი დამუშავება; ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეთა წარმოება; შესწრებულ დანაშაულზე რეაგირება.

მართლწესრიგის ოფიცერი არის პოლიციელი, რომელიც ორიენტირებულია სხვა საპოლიციო დანაყოფებთან ერთად, კოორდინირებული მუშაობით იზრუნოს საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე, უზრუნველყოს მართლწესრიგი და შეძლებისდაგვარად დაეხმაროს მოქალაქეებს საზოგადოებრივი და სამოქალაქო პრობლემების გადაწყვეტაში.

ეს ინსტიტუტი პირველ ეტაპზე თბილისში, საპილოტე რეჟიმში დაინერგება, სადაც 365 მართლწესრიგის ოფიცერი ეტაპობრივად დაიწყებს მუშაობას.

შერჩეული კანდიდატები, საკვალიფიკაციო ეტაპების წარმატებით გავლის შემთხვევაში, შესაბამის მომზადების კურსს გაივლიან შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში, რის შემდეგაც, ეტაპობრივად მოხდება მათი გადანაწილება სამოქმედო ტერიტორიების (უბნების) მიხედვით, მთელი თბილისის მასშტაბით. პერმანენტული მონიტორინგისა და შედეგების შეფასების შემდეგ, იგეგმება ინსტიტუტის შემდგომი გაფართოება ქვეყნის მასშტაბითაც.

მართლწესრიგის დაცვა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა კომპლექსური საკითხია, რომელშიც არსებითია საზოგადოების ჩართულობა. შესაბამისად, მართლწესრიგის ოფიცერი იქნება ერთგვარი დამაკავშირებელი ხიდი პოლიციასა და საზოგადოებას შორის, იმისათვის, რომ შედგეს ეფექტიანი, ინტენსიური კომუნიკაცია და ჩამოყალიბდეს მეტი ნდობა, რაც დანაშაულის პრევენციისათვის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიზანია, მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის დანერგვით, არა მხოლოდ დანაშაულთან ბრძოლა, არამედ დანაშაულის გამომწვევი მიზეზების სიღრმისეული კვლევა და სწორედ ხსენებული მიზეზების გადაჭრა, რაც დანაშაულის პრევენციის აუცილებელი პირობაა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიზანია, ვაკანსიების გამოცხადებით, ამ პოზიციაზე მოიზიდოს ახალი კადრები, მოტივირებული, კეთილსინდისიერი ადამიანები, რომლებსაც სურვილი აქვთ ემსახურონ ქვეყანას და თავიანთი წვლილი შეიტანონ საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვაში.

კანონს, რომლის საფუძველზეც მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია ხორციელდება, ვადა 2019 წლის 1-ელ იანვრამდე უგრძელდება

კანონს, რომლის საფუძველზეც მიწის ნაკვეთებზე საკუთრების რეგისტრაცია ხორციელდება, ვადა 2019 წლის 1-ელ იანვრამდე უგრძელდება.

საუბარია „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ კანონზე, რომელიც 2018 წლის 1-ელ ივლისამდე მოქმედებს. პარლამენტში ინიცირებისთვის მზად არის აღნიშნული ვადის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე გაგრძელების საკანონმდებლო ინიციატივა.

კანონის თანახმად, მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის პროცედურა გამარტივდა – მოიხსნა ის ბიუროკრატიული თუ ფინანსური ბარიერები, რომლებიც მესაკუთრეს მიწის რეგისტრაციის პროცესში ექმნებოდა.

როგორც პროექტის განმარტებით ბარათშია აღნიშნული, მიწაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნით საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ყოველდღიურად 1500-დან 2000-მდე განცხადება წარედგინება, ცალკეულ დღეებში განცხადებების რაოდენობამ დღეში 5.000-ს გადააჭარბა.

– დღეის მდგომარეობით, სააგენტოში სარეგისტრაციო წარმოება 105.712 განცხადებაზე მიმდინარეობს. ამ განცხადებების ნაწილი, კერძოდ, 23.394 განცხადება საკუთრების უფლების აღიარების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით გადაგზავნილია შესაბამის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან არსებულ თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიებში, ხოლო 60.000-ზე მეტ განცხადებაზე სარეგისტრაციო წარმოების ფარგლებში, სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოებიდან საჭირო დოკუმენტაციის მოძიების პროცესი მიმდინარეობს ამდენად, კანონის მოქმედების ვადის გაგრძელება მნიშვნელოვანია როგორც მიმდინარე სარეგისტრაციო წარმოებების წარმატებით დასასრულებლად, ასევე დაინტერესებული პირების მაღალი მიმართვიანობიდან გამომდინარე. გარდა ამისა, კანონის მოქმედების ვადის გაგრძელება აქტუალურია იმ ცალკეული სახელმწიფო პროექტების დროულად და შეუფერხებლად განხორციელებისათვის, რომელიც რეგისტრირებული მონაცემების არსებობის ფორმით მიწის მესაკუთრის იდენტიფიცირებას მოითხოვს“, – ნათქვამია პროექტის განმარტებით ბარათში.

რეფორმის დაწყებიდან 2018 წლის 15 ივნისამდე უკვე რეგისტრირებულია 486 100-ზე მეტი მიწის ნაკვეთი.

პროექტის ინიციატორი არიან პარლამენტის წევრები – ოთარ დანელია და ირაკლი შიოლაშვილი. პროექტი პარლამენტის ბიუროს უახლოეს სხდომაზე წარედგინება.

IPN

ახმეტაში, მდინარე ილტოში 17 წლის ბიჭი დაიხრჩო

ახმეტაში, მდინარე ილტოში 17 წლის ბიჭი დაიხრჩო.

ახალგაზრდა მდინარე ილტოზე მდებარე ე.წ. საგუბრის ტერიტორიაზე მეგობრებთან ერთად იმყოფებოდა.

გარკვეული პერიოდის შემდეგ მოზარდი გაუჩინარდა. რის შემდეგაც მეგობრებმა მისი ძებნა დაიწყეს.

ე.წ. საგუბარში წყლის დაცლის შემდეგ, ახალგაზრდის ცხედარს ფსკერზე

მომხდარზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

რუსთავში ახალგაზრდა გოგო მე-9 სართულიდან გადმოხტა

რუსთავში, ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსის მე-9 სართულიდან 30 წლის ქალი გადმოხტა.

შემთხვევის შედეგად დაშავებული საავადმყოფოში გადაიყვანეს, რომელსაც მრავლობითი მოტეხილობება, ტრავმული შოკით და კომატოზური მდგომარეობა აქვს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

ავარია სამტრედიაში — დაშავებულია 3 ადამიანი, მათ შორის, არასრულწლოვანი

ქუთაისთან სოფელ სამტრედიაში ავტომობილი ხეს შეეჯახა. შემთხვევის შედეგად დაშავდა 3 ადამიანი მათ შორის არასრულწლოვანი.

დაშავებულები საავადმყოფოში არიან გადაყვანილი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება 276-ე მუხლის 1-ელი ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია.

ავარია წეროვანთან — დაშავებულია 18 ადამიანი

წეროვანთან ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, 18 ადამიანი დაშავდა, რომლებიც საავადმყოფოში არიან გადაყვანილი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება 276-ე მუხლის პირველი ნაწილი დაიწყო, რაც სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის წესების დარღვევას გულისხმობს, რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია.

ბათუმში ტრანსგენდერ ქალს სცემეს

ბათუმში ტრანსგენდერ ქალს სცემეს.

გავრცელებული ინფორმაციით, ორმა ბიჭმა, ტრანსგენდერ ქალს, სექსუალური ორიენტაციის გამო, სახის არეში დაზიანებები მიაყენეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის შესაბამისად მიმდინარეობს, რაც ძალადობას გულისხმობს.

ქუთაისში 21 წლის ბიჭმა, მეუღლესთან კამათის შემდეგ, თვითმკვლელობა სცადა



ქუთაისში 21 წლის ბიჭი, ე.წ. თეთრი ხიდიდან ხტებოდა, თუმცა მას მოქალაქეებმა ამის საშუალება არ მისცეს.

გავრცელებული ინფორმაციით, ახალგაზრდა ბიჭმა თვითმკვლელობა მეუღლესთან კამათის შემდეგ სცადა.

შემთხვევის ადგილზე მობილიზებული იყო სამაშველო და საპატრულო ბრიგადები.

ვინ და რამდენჯერ დაარტყა დანა დათო სარალიძეს

დროებითი საგამოძიებო კომისიის სხდომაზე ხორავას ქუჩის საქმის პროკურორს და გამომძიებელს ახლა უმრავლესობის დეპუტატები უსვამენ კითხვებს.

სალომე ზურაბიშვილმა პროკურორ ფხაკაძეს მიმართა, ვინ და რამდენჯერ დაარტყა დათუნა სარალიძეს დანა.

ზურაბიშვილმა მიხეილ კალანდიას თანამონაწილეობაზეც დასვა კითხვა.

პარლამენტის საგამოძიებო კომისიის სხდომაზე არჩილ თალაკვაძე დაინტერესდა, ფიგურირებს თუ არა საქმეში მესამე დანა.

აღნიშნულ შეკითხვაზე ხორავას ქუჩის საქმის პროკურორმა ზვიად ფხაკაძემ აღნიშნა, რომ გამოძიებით რაც იყო დადგენილი და რაც სასამართლოზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგინდა, სარალიძის და დადუნაშვილის მკვლელობაში ფიგურირებდა ორი დანა.

– რაც შეეხება გ.მ.-ს დაზიანებას, რა ვითარებაში მოხდა, ვის მიერ, როგორ მოხდა, ამაზე ამომწურავი პასუხი გამოძიებას არ აქვს. მხოლოდ ერთ მტკიცებულებაში, ფარულ საგამოძიებო მოქმედებაშია საუბარი, როდესაც გ.ბ. საუბრობს, რომ მწვანე-ქურთუკიანს ეჭირა დანა და იქნევდა დავით სარალიძის მიმართულებით, ასეა ფარულ ჩანაწერში.

თუ დავუშვებთ იმ შესაძლებლობას, რომ დ.ღ.-ს, როგორც ვრცელდება ინფორმაცია, ჰქონდა დანა და ამით დააზიანა გ.მ, ეს არის მხოლოდ ვერსია. რაც შეეხება იმის მტკიცებას, რომ გ.მ.-ს დაზიანება მიყენებული აქვს დანით, ამის იმპერატიული მტკიცება შეუძლებელია. ეს არის სავარაუდო დანა, – თქვა პროკურორმა.

* * *

ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის დროებითი საგამოძიებო კომისიის წევრი ოთარ კახიძე საქმის გამომძიებელსა და პროკურორს მიმართავს:

– როდესაც ორი პირი დავით სარალიძეს დანას ურტყამს, ხოლო მიხეილ კალანდიას ის ხელით ყავს გაკავებული, მაინტერესებს თქვენი შეფასება, არის თუ არა ეს მკვლელობაში თანამონაწილეობა?

გ.მ.-ს ჩვენებიდან გვაქვს, რომ კალანდია ცდილობდა მსუქანი ბიჭი დაემორჩილებინა. თქვენი ვერსიით, გ.ბ. და გ.ჯ. სარალიძეს მრავლობით სასიკვდილო ჭრილობებს აყენებენ. ასევე სხვადასხვა მოწმეებით, ა.დ. გ.ჯ. ლ.ბ, ასევე თ. ნ, და დ.ღ, ყველა ამბობს, რომ ჩხუბში კალანდია მონაწილეობდა და ის ურტყამდა. არ იციან რას ურტყამდა, ხელში რა ეჭირა. თ.ნ. ამბობს, რომ სარალიძე ეჩხუბებოდა გ.ჯ.-ს და მ.კ.-ს.

თავისივე ჩვენებით, რომელიც კალანდიას სამჯერ აქვს მიცემული და შემდეგ სასამართლოში ორჯერ, მრავლობით ჭრილობებს აყენებენ გ.ბ. და გ.ჯ. დავით სარალიძეს და ამ დროს ერთი ხელით უჭირავს სარალიძე კალანდიას და მეორე ხელით ურტყავს.

არსებობს ჯგუფურად ჩადენილი დანაშაული, გვყავს ორგანიზატორი, გვყავს წამქეზებელი, გვყავს დამხმარე და აღმასრულებელი, გვაქვს განზრახვა. ეს პირი ხედავს, როგორ ურტყამს ერთი დანას, მეორე დანას, ამ დროს უჭირავს ხელში და ურტყამს მუშტს. ეს თანამონაწილეობა არ არის მკვლელობაში? – განაცხადა ოთარ კახიძემ.

* * *

მოზარდების მკვლელობის საქმის პროკურორი, ზვიად ფხაკაძე ადასტურებს, რომ პირველ დღეებში არ ამოუღიათ ქუჩის კამერების ჩანაწერები, რადგან „მათთვის ხომ იყო გაურკვეველი, რა იყო იმ კამერაზე გამოსახული.

საქმის პროკურორის თქმით, ჩანაწერების ამოღებას თავისი პროცედურები ჰქონდა.

– უნდა დადგენილიყო კამერების მდებარეობა, მისი გამართულობა, ვატარებდით იმ პროცედურებს, რაც საჭირო იყო, რომ სასამართლოსთვის მიგვემართა და მოგვეპოვებინა განჩინება.

მოგეხსენებათ, რომ კამერების მოპოვება სამართლებრივად არის პროცესუალურად გაწელვადი პროცედურა. საქმეზე მიმდინარეობდა ოპერატიული ღონისძიებები, მართალია, ეს პიროვნებები არ ასახელებდნენ ოფიციალურ ჩვენებებში კონკრეტულ პირებს, თუ ვინ იმყოფებოდა შემთხვევის ადგილზე, მაგრამ ოპერატიული გზით დადგენილი იყო იმ პირთა წრე, ვინც მაგ კამერებშია გამოსახული, რაზეც თქვენ საუბრობთ, მათთან მოხდა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება, თუ დაკავრდებით საქმის მასალებს, ვინც კამერებზე არიან, კამერების გამოთხოვნამდე დაკითხულები არიან. მაგრამ საკითხი რაში დგას – ვინც კამერაზე ფიქსირდებიან, დაკითხულები არიან, იდენტიფიცირებულები არიან, მაგრამ დაკითხვის დროს არ იძლევიან ინფორმაციას, რა ინფორმაციაც ნახეს...

1 დეკემბერს არ ჩავთვალეთ მიზანშეწონილად, ჯერ ჩვენთვის ხომ იყო გაურკვეველი, რა იყო იმ კამერაზე გამოსახული, რა უნდა ყოფილიყო... შესაბამისად, ჩვენ მოვიპოვეთ ეს მტკიცებულებები, მაგრამ დადგენილი იყო ისედაც მოქმედ პირთა წრე, ვინც მონაწილეობდა... წინასწარ კამერაზე რა არის გამოსახული, ხომ არ ვიცით, – განაცხადა პროკურორმა.

ხორცპროდუქტების ფალსიფიკაციის ექვსი ფაქტი გამოავლინეს

– საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებთან კოორდინაციით, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ხორცპროდუქტების ფალსიფიკაციის ფაქტზე ერთი პირი პასუხისგებაში მისცეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ხორცპროდუქტების მწარმოებელი ერთ-ერთი ინდ. მეწარმე, ქალაქ თბილისში კუსტარულად მოწყობილ საამქროში ხორცპროდუქტის, ე.წ. „სუჯუკის“ წარმოებას და რეალიზაციას ახდენდა. პროდუქტის ეტიკეტზე, მის შემადგენლობაში მითითებული საქონლისა და ღორის ხორცის ნაცვლად, ბრალდებული წარმოების პროცესში ცხენის ხორცს იყენებდა.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ამოღებულია როგორც მზა პროდუქცია, ასევე გადასამუშავებლად გამზადებული ცხენის ნედლი ხორცი.

ამასთან, ქალაქ თბილისში გატარებული ღონისძიებების შედეგად, საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა გამოავლინეს სხვადასხვა კომპანიის კუთვნილი ხუთი საამქრო, სადაც სარეალიზაციოდ მზადდებოდა ფალსიფიცირებული ხორცპროდუქტები: სოსისი, ძეხვეული და სარდელი.

ამოღებულია დიდი ოდენობით სხვადასხვა დასახელების პროდუქცია, რომელსაც ამ ეტაპზე შესაბამისი ექსპერტიზა უტარდება.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 197-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 1-დან 3 წლამდე ვადით, – აღნიშნულია საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა

მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე.
მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166.
მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ნიგერიის სოფელში 86 ადამიანი მოკლეს

ნიგერიაში ერთ-ერთ სოფელზე თავდასხმის შედეგად 86 ადამიანი მოკლეს.

ნიგერიის პოლიცია ვარაუდობს, რომ

აღნიშნული თავდასხმის უკან ფულბეს მომთაბარე მესაქონლეების ტომი დგას.

86 მოკლული ნიგერიის ცენტრალურ რეგიონში, ბარიკინი ლადიში აღმოაჩინეს. რამდენიმე დღის წინ სოფლის მცხოვრებლებსა და მომთაბარეებს შორის კონფლიქტი წარმოიშვა, რაც ძალადობით დასრულდა. გარდა ამისა, სოფელში ხანძარი გაჩნდა, რის შედეგადაც 50 სახლი დაიწვა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, რეგიონში კომენდანტის საათია შემოღებული.

ნიგერიაში მიწისა და რესურსებისთვის სხვადასხვა ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს შორის კონფლიქტი ათწლეულების განმავლობაში გრძელდება.

საფრანგეთში 10 პირი დააკავეს, რომლებიც მუსლიმებზე თავდასხმებს გეგმავდნენ

საფრანგეთში 10 პირი დააკავეს, რომლებიც, სავარაუდოდ, მუსლიმებზე თავდასხმებს გეგმავდნენ.

დაკავებულები ულტრამემარჯვენე რადიკალებთან არიან დაკავშირებული.

როგორც სააგენტო ფრანს-პრესი აღნიშნავს, პოლიციამ დაკავების ოპერაცია ჯერ კიდევ 23 ივნისს ჩაატარა, მათ შორის კორსიკაზეც. დაკავებულების ადგილსამყოფელის ჩხრეკისას პოლიციამ იარაღიც ამოიღო.

ამ ეტაპზე გამოძიება ადგენს, თუ რამდენად შორს წავიდნენ დაკავებულები თავიანთი გეგმების განხორციელებაში.

გამოძიება მიიჩნევს, რომ დაკავებული პირები თავდასხმების განხორციელებას აპირებდნენ რადიკალურად განწყობილ იმამებსა და ციხიდან გამოსულ ისლამისტებზე.

საბერძნეთში 5.5 მაგნიტუდის მიწისძვრა დაფიქსირდა



საბერძნეთში პელოპონესის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში 5.5 მაგნიტუდის მიწისძვრა დაფიქსირდა.

აშშ-ის გეოლოგიური ზედამხედველობის სამსახურის მონაცემებით, მიწისძვრის ეპიცენტრი ქალაქ მეტონიდან 26 კილომეტრში იყო.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

თურქეთის ვადამდელ არჩევნებში ერდოღანმა გაიმარჯვა

ვადამდელი არჩევნები თურქეთში დაძაბულ ბრძოლაში წარიმართა.

ფავორიტად მოქმედი პრეზიდენტი ერდოღანი ითვლებოდა. თანახმად ყველა გამოკითხვისა, ის უდავო ლიდერი იყო.

ამავე დროს, მისი უმთავრესი კონკურენტის ინჯეს პოპულარობაც დიდი იყო. ინჯე ფიზიკის მასწავლებელი და სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ლიდერია. არჩევნების წინ მან სტამბულში მოაწყო მასობრივი მიტინგი, რომელზეც მილიონამდე ადამიანი შეიკრიბა.

მესამე ადგილზე 62 წლის ქალი, მერალ აქშენე იყო. ის პროფესიონალი პოლიტიკოსია და ერთხანს შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტიც ეკავა.

მთელი თურქეთი არჩევნების მიმდინარეობას დაძაბული ადევნებდა თვალს. 24 ივნისს საღამოს თურქეთის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნების ბიულტენების 98%-ის დამუშავების შემდეგ წინასწარი შედეგები გამოაქვეყნა.

მათ თანახმად, ერდოღანმა ხმების 53% დააგროვა. მისმა უახლოესმა კონკურენტმა ინჯემ კი – 30%.

ერდოღანის სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ ხმების 43% მოიპოვა, სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიამ – 23%.

პარლამენტში მოხვდებიან ერდოღანის მოკავშირე ნაციონალისტები, ასევე მოწინააღმდეგე ქურთული პარტიაც.

ასეა თუ ისე, ერდოღანმა გაიმარჯვა. მან საპრეზიდენტო არჩევნებიც მოიგო და საპარლამენტოც.

ტრამპი და პუტინი ერთმანეთს ვენაში შეხვდებიან?

პუტინის პრესმდივანმა დმიტრი პესკოვმა განაცხადა, რომ პუტინ-ტრამპის შეხვედრა, შესაძლოა, 15 ივლისს ვენაში შედგეს.

– სათანადო სამზადისი უკვე მიმდინარეობს, – ამბობს პესკოვი.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ თავის მხრივ დაადასტურა, რომ ტრამპისა და პუტინის შეხვედრის სამზადისი უკვე მიმდინარეობს. შეკითხვაზე, მართალია თუ არა, რომ შეხვედრა ვენაში შედგება, პომპეომ მიუგო:

– პრეზიდენტის გრაფიკი ჩემთვის უცნობია!

პომპეომ ხაზი გაუსვა, რომ რუსეთ-აშშ-ის ურთიერთობები უკიდურესად დაძაბულია.

– ასეთი დონის დაძაბულობა კარგა ხანია, არ ყოფილა, – თქვა მან.

პომპეომ მიუთითა, რომ აშშ შეეცდება, რუსეთთან შეხების წერტილები გამოძებნოს, თუმცა ეს ვინმეს გაწირვის ან რაიმეს დათმობის ხარჯზე არ მოხდება.

– უკრაინაში ჩვენი პოზიციები ერთმანეთს არ ემთხვევა! აშშ აქ არაფრის დათმობას არ აპირებს! – განაცხადა პომპეომ.

თავის მხრივ პრეზიდენტმა ტრამპმა აღნიშნა, რომ მოხარული იქნება, პუტინს ვაშინგტონში უმასპინძლოს.

ამრიგად პუტინ-ტრამპის შეხვედრის შესაძლო დრო და ადგილი ჯერჯერობით უცნობია. ტრამპი, პუტინის გარდა, უკრაინის პრეზიდენტ პოროშენკოსაც შეხვდება.

პოლონეთის პრემიერი: „ევროპა ყველა მიგრანტს ვერ მიიღებს“

ევროკავშირის ქვეყნები ერთობლივად უნდა მიუდგნენ საიმიგრაციო კრიზისის საკითხების გადაჭრას, ცალკეული ქვეყნების თავისებურებების გათვალისწინებით.

ამის შესახებ პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა მატეუშ მორავეცკიმ განაცხადა.

პოლონეთის მთავრობის თავკაცის განცხადებით, ევროპა ყველა მსურველს ვერ მიიღებს.

– ჩვენ ეს პრობლემა ადგილებზე უნდა გადავწყვიტოთ, შევეცადოთ, თავიდან ავიცილოთ ხალხის კონტრაბანდული გზით გადაყვანა, ადამიანებით ვაჭრობა და სხვა პრობლემები, – აღნიშნა მატეუშ მორავეცკიმ.

მისივე თქმით, ევროკავშირის ლიდერები იმის გააზრებას იწყებენ, რომ უსამართლოა, სხვადასხვა ისტორიული გამოცდილების მქონე ქვეყნები აიძულო, მიიღო მიგრანტები, დაუწესო კვოტები.

მატეუშ მორავეცკიმ ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ზუსტად ამ მიზეზის გამო პოლონეთმა, უნგრეთმა, სლოვაკეთმა და ჩეხეთმა უარი განაცხადეს, მონაწილეობა მიეღოთ ევროკავშირის წევრი ქვეყნების არაფორმალურ სამიტში, რომელზეც საიმიგრაციო კრიზისის საკითხები განიხილებოდა.

– ევროკავშირმა ერთიანობა და სამართლიანობა უნდა შეინარჩუნოს საიმიგრაციო საკითხების მიდგომებში, – დასძინა მან.

ქალქიდოსკოპი

კანადის პრემიერ-მინისტრი სათვალის გამო დააჯარიმეს

კანადის პრემიერ-მინისტრი ჯასტინ ტრუდო იმის გამო დააჯარიმეს, რომ მან დეკლარაციაში არ შეიტანა კანადის ერთ-ერთ პროვინციაში მიღებული საჩუქარი.

აღსანიშნავია, რომ საუბარია ორ წყვილ მზის სათვალეზე, რომელიც ტრიუდოს კანადის ერთ-ერთი პროვინციის პრემიერმა აჩუქა. ეთიკის სამეთვალყურეო ორგანომ ქვეყნის პრემიერს კანონის დარღვევისთვის 100 დოლარის ჯარიმის გადახდა დააკისრა.

პოლიტიკოსის პრეს-მდივნის ელეონორა კატენარომ განაცხადა, რომ საუბარია „ადმინისტრაციულ შეცდომაზე“. მან განმარტა, რომ პრემიერ-მინისტრმა უბრალოდ არასწორად შეავსო დეკლარაცია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

სხვადასხვა

● დიდი გამოცდილების მქონე შპს მოგიგვარებთ ქვეწარმავლების, მღრღნელების, მწერების პრობლემას, ჩაგიტარებთ სადეზინფექციო სამუშაოებს. ტელ: 551-54-84-54; 599-74-04-51.

● შევიძენ ნახატ სურათებს, წიგნებს, ძველ ნივთებს. ტელ: 598-43-98-57.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● მკურნალი ნანა პაიჭაძე საგვარეულო მალამოთი ეფექტურად მკურნალობს: რადიკულიტს, ოსტეოქონდროზს, კისრის, მუხლსახსრების ართროზს, დისკოზს, ნერვის ანთებას, ტერფისა და ქუსლების ტკივილს, ურთულეს დაავადებას ჰაიმორიტს. მის პაციენტთა შორის იყვნენ ცნობილი ადამიანები – აკადემიკოსი ანზორ შავგულიძე, მსახიობი ჯემალ ღაღანიძე, ტელეწამყვანი გიორგი გოგიჩაიშვილი და მრავალი სხვა. მის: თევდორე მღვდლის ქუჩა №48. ტელ: 593-00-08-26; 599-54-64-81.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების თავიდან აცილება, ნერვული სისტემის და ღვიძლის პრობლემების ნორმალიზება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგი, ტელ: 599-25-44-14 ექიმი მზია, 218-48-99 (სამსახ.). მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● პოტენციის დაქვეითებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციების ნორმალიზება, პროსტატის ჯირკვლისა და შარდვის პროცესების მოწესრიგება, ბაქტერიულ-სოკოვან ინფექციათა საწინააღმდეგო მოქმედება იმუნიტეტის გაძლიერებით, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან უჯრედულ დონეზე. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით. ტელ: 595-293-299; 218-46-08 (სამსახ.) ექიმი ინგა. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-5 სმ-ის მომატებით ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშები. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე გახდომა 5-15 კგ თვეში რაციონის შეუცვლელად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, სწრაფად და ეფექტურად. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● ძვლის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება – კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ართრიტის დროს. დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის ნორმალიზება მცენარეული საშუალებებით, საუკეთესო შედეგით. ტკივილისა და შებოჭილობის სინდრომის შემცირება უკუჩვენების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

ილიას ზუროსი: „ახალი გუნდი ახალი კალათბურთელებით“

საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული გუნდი 29 ივნისსა და 2 ივლისს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში სერბეთისა და ავსტრიის ნაკრებებთან ითამაშებს.

მოსამზადებელ ეტაპზე ილიას ზუროსის გუნდმა ორი მატჩი გამართა ჩეხეთში, იქაურ ნაკრებთან. პირველი 57:71 დათმო, ხოლო მეორე დახურული ხასიათის იყო და იქ საბოლოო ანგარიში არ დაფიქსირებულა.

თუ როგორ მოემზადა საქართველოს ნაკრები ჩეხეთში და რისთვის იყო იქ გამგზავრება საჭირო, ამის თაობაზე ბერძენი სპეციალისტი საუბრობს.

ილიას ზუროსი:

– მინდა ვთქვა, რომ ჩეხეთში კალათბურთელების გაწეული სამუშაოთი კმაყოფილი ვარ. ნაბიჯ-ნაბიჯ ვცდილობთ, ერთიანი რიტმი ვიპოვოთ და შევთამაშდეთ. გვაქვს კარგი შედეგიც და ბევრი პრობლემაც, რომელიც უნდა მოვაგვაროთ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ოფიციალურ მატჩებამდე, კიდევ 2 კალათბურთელი შემოგვიერთდება. მჯერა, ნელ-ნელა ყველასთვის ანგარიშგასაწევი ძალა გავხდებით. ჩეხეთში პრაქტიკის მისაღებად ჩავედით. ასეთ შეხვედრებში ანგარიშს ყურადღებას არავინ აქცევს. მნიშვნელოვანი აქ დეტალები და ურთიერთგაგებაა. გვყავს ახალწვეულები, დიდი ხანია გუნდთან ერთად არ ყოფილა გიორგი შერმადინი, თად მაკფადენი დებიუტანტია და ჯერ გუნდის ფილოსოფიასთან ჰქონდა შეგუების პროცესი. ასევე გვყავს ბევრი ახალგაზრდა. აბსოლუტურად ყველას მიერ გაწეული სამუშაოთო კმაყოფილი ვარ. სერბეთთან მატჩამდე ბევრი დრო არ რჩება. ასეთ მოკლე დროში შეუძლებელია ძლიერი ფილოსოფიით არსებული გუნდის ჩამოყალიბება. კალათბურთელების დიდ ნაწილს წინა თამაშები არ ჩაუტარებია. ასეთ შემთხვევაში ძნელია შეთამაშების პრობლემის მოგვარებაც. ერთი, რასაც გპირდებით, არის ის, რომ 100 პროცენტით დავიხარჯებით. მოედანზე ყველაფერს დავდებთ და საუკეთესო შედეგისთვის ვიბრძოლებთ. გვინდა სავსე ტრიბუნების წინ ვითამაშოთ და გვიქომაგონ. თანადგომა რთულ პერიოდშიც გვჭირდება. ახალ გუნდის შენებას ახალი კალათბურთელებით ვიწყებთ. სერბეთი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა. მათი ძლიერი მხარეების შესახებ ყველამ იცის. ამიტომ უნდა ვითამაშოთ ისე ძლიერად და მოხერხებულად, რომ შედეგს მივაღწიოთ. ვნახოთ, რა გამოვა.

შენგელიას გული ნბა-სკენ მიუწევს

ერთ-ერთი ბასკონური ვებგვერდი საქართველოს ნაკრებისა და ბასკონიას კალათბურთელ თორნიკე შენგელიას ნბა-ში გადასვლას უწინასწარმეტყველებს.

– დიდი ალბათობით, თორნიკე შენგელია და ვიქტორ პორიე შესაძლოა ნბა-ში გადავიდნენ. თავად ბასკონიამაც კარგად უწყის, რომ ქართველი კალათბურთელი აშშ-ში დაბრუნებაზე ოცნებობს. ამის მიზეზი ის არის, რომ თორნიკეს ამბიციები დაკმაყოფილებული არ არის, რადგან ვიტორიული კლუბი ტიტულებს ვერ იგებს. არადა, მომავალ წელს ევროლიგის საუკეთესო ოთხეული ვიტორიაში ითამაშებს. ასეთ დროს კი, ბასკონიასთვის შენგელიას გუნდში ყოლა დიდი დახმარება იქნება. ევროპის კლუბებს მისი ყიდვა საკმაოდ ძვირი დაუჯდებათ. ნბა-ში კი სატრანსფერო პერიოდი პირველი ივლისიდან დაიწყება. ამერიკული კლუბები ევროპული გუნდის მოთამაშეებზე დაიწყებენ ნადირობას. მათი მიზანი როგორც ახალგაზრდა პერსპექტიული მოთამაშეების აღმოჩენა, ასევე ჩამოყალიბებული ვარსკვლავების დამატება იქნება. შენგელიას მომავალიც მაშინ გაირკვევა, – წერია სტატიაში.

გერმანია და შვეიცარია ფიფას დისციპლინარების არეალში

მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე ფიფამ პირველი დისციპლინური საქმე გახსნა, რომელიც გერმანიის ნაკრების ორი წარმომადგენელს ეხება. საუბარია გერმანიის საფეხბურთო კავშირის მენეჯერის, გეორგ ბეჰლაუსა და გუნდის მედიაოფიცრის, ულრიხ ფოიგტის შესახებ.

საქმის გახსნის მიზეზი კი ის ინციდენტი გახდა, რომელიც 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მეორე ტურის მატჩში შვედებთან მატჩის ბოლოს მოხდა.

ბუნდესნაკრების წარმომადგენლებს ბრალად ედებათ არაეთიკური ქმედება. მას მერე, რაც 95-ე წუთზე გერმანელთა ტონი კროოსმა გამარჯვების გოლი გაიტანა, ბეჰლაუ და ფოიგტი მეტოქის წარმომადგენლებთან მიიჭრნენ, სადაც გამომწვევად აღნიშნავდნენ გოლს და პროვოკაციულად მოქმედებდნენ შვედეთის ნაკრების თანამშრომლების თვალწინ.

მოგვიანებით, გერმანიის საფეხბურთო კავშირმა, ისე, როგორც პირადად ბეჰლაუმ და ფოიგტმა, სკანდინავიელებს ბოდიში მოუხადეს.

შეგახსენებთ, რომ გერმანიის ნაკრები სასწაულებრივად გადაურჩა მსოფლიო პირველობიდან გამოვარდნას. უმცირესობაში დარჩენილმა გერმანიამ შვედეთთან გამარჯვება ბოლო წუთზე მოიპოვა.

კიდევ ერთ საქმეში, რომლის მიმართ ფიფამ მოკვლევა დაიწყო, შვეიცარიის ნაკრების ნახევარმცველები, გრანიტ ჯაკა და ჯერდან შაქირი ფიგურირებენ. ორივე ფეხბურთელი, შესაძლოა, ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯონ. მიზეზი კი, სერბეთთან მატჩში პოლიტიკური ჟესტებია.

სწორედ ამ ფეხბურთელებმა გაიტანეს გოლები სერბების კარში და სიხარული ორთავიანი არწივის გამოხატვით აღნიშნეს. ორთავიანი არწივი ალბანეთის სიმბოლოა, რომელთანაც სერბეთს დაძაბული ურთიერთობა აქვს.

დიდი შანსია, ეს ქმედება ფიფას სადისციპლინო კოდექსის 54-ე მუხლით განიხილონ, რომელიც 5.000 შვეიცარიული ფრანკის ოდენობით ჯარიმასა და ორმატჩიან დისკვალიფიკაციას ითვალისწინებს.

თუ ჯაკასა და შაჩირის დასჯიან, ისინი გამოტოვებენ ჯგუფური ეტაპის მესამე მატჩს კოსტა რიკასთან და მერვედფინალს, თუ შვეიცარიელები პლეი ოფში გავლენ.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

პოლონეთი სახლშია, სამი გუნდი ფლეი ოფისთვის იბრძვის

იაპონია-სენეგალი 2:2

0:1 მანე (11), 1:1 ინუი (34), 1:2 ვაგე (71), 2:2 ჰონდა (78)

ეკატერინბურგი. ეკატერინბურგ არენა

იაპონია: კავასიმა, საკაი, იოსიდა, სიოძი, ნაგატომო, სიბასაკი, ჰასებე, ჰარაგუტი (ოკაზაკი 75), კაგავა (ჰონდა 72), ინუი (უსამი 87), იუია

სენეგალი: ჰედიმ ნდიაიე, ვაგე, სანე, კულიბალი, საბალი, პაპა ნდიაიე (ნდოიე 81), ალფრედ ნდიაიე (კუიატე 65), გუეიე, სარი, ნიანგი (დიუფი 86), მანე

ინტრიგა ჯგუფში ხურდება. იაპონიისა და სენეგალის ნაკრებების ფრედ დასრულებული მატჩის შემდეგ ერთბაშად 4 გუნდს ჰქონდა შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი. თუმცა, შემდეგ ერთი კი გამოაკლდა, მაგრამ ამაზე უფრო ქვევით.

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ არც იაპონელები და არც სენეგალელები, შეგნებულად ფრეზე არ წასულან, რადგან, შესაძლოა, ორივესთვის დამღუპველი ყოფილიყო. სენეგალმა დამაჯერებელი პირველი ტაიმი ჩაატარა და გოლიც სწრაფად გაიტანა. თუმცა, იაპონელებმა მოახერხეს და ტაიმის მიწურულს მაინც გაათანაბრეს.

მეორე ტაიმში გუნდებმა როლები გაცვალეს, სცენარი კი იგივე იყო. იაპონია უფრო აქტიურად თამაშობდა, გოლი კი ისევ სენეგალმა გაიტანა. ჩამორჩენილი აზიელები უფრო გააქტიურდნენ და კეისუკე ჰონდამ მეორედ მოახერხა გათანაბრება.

დასკვნით ნაწილში არც ერთს არ გაურისკავს და საბოლოოდ, ფრემდე მივიდნენ.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ტაკასი ინუი

რამდენიმე ფეხბურთელის გამოყოფა შეიძლება ორივე გუნდიდან, მაგრამ ინუე უფრო სტატისტიკური თვალსაზრისით გამოვარჩიეთ. გოლი და საგოლე პასი – ასეთია აზიელის მონაგარი მატჩში. პლუს, ერთ მომენტში ხარიხასაც გაარტყა ბურთი, ხარისხიანად და დაუღალავად შრომობდა მოედანზე.

პოლონეთი-კოლუმბია 0:3

ყაზანი. ყაზან არენა

0:1 მინა (40), 0:2 ფალკაო (70), 0:3 კუადრადო (75)

პოლონეთი: შესნი, პიშჩეკი, ბედნარეკი, პაზდანი (გლიკი 80), ბერეშინსკი (ტეოდორჩიკი 72), გურალსკი, კრიხოვიაკი, რიბუსი, ზელინსკი, ლევანდოვსკი, კოვნაცკი (გროსიცკი 57)

კოლუმბია: ოსპინა, არიასი, მინა, სანჩესი, მოხიკა, აგილარი (ურიბე 32), ბარიოსი, კუადრადო, ხამეს როდრიგესი, კინტერო (ჯეფერსონი 73), ფალკაო (ბაკა 78)

წაგებული ემშვიდობებოდა ტურნირს, ფრე კი, ორივე გუნდს შანსს უტოვებდა და არცთუ მცირეს. ამიტომ, პირველი ტაიმი მეტნაკლებად დაძაბული გამოვიდა, მეორე კი, ძალიან მაგრად ჩაატარეს კოლუმბიელებმა.

ხანგრძლივი „გვალვა“ სახიფათო მომენტების იმით დასრულდა, 40-ე წუთზე კოლუმბიამ გაიტანა: ხამეს როდრიგესის პასით ერი მინამ გამოიჩინა თავი.

პოლონეთს დასაკარგი აღარაფერი ჰქონდა, მაგრამ ცოტა გვიან გამოფხიზლდნენ – მე-2 ტაიმის შუაში, ზურგიც მოაშიშვლეს და კოლუმბიელებმაც გაილაღეს. ჯერ რადამელ ფალკაომ დასაჯა ადამ ნავალკას შეგირდები, შემდეგ კი, ხუან კუადრადომ.

კოლუმბიელებმა დამსახურებულად მოიგეს, პოლონელები კი, იმის აჩრდილებიც არ იყვნენ, რაც ბოლო წლებში გვინახავს. ამიტომაც, ნავალკას გუნდი „სახლშია“, ხოლო კოლუმბიას მძიმე ბრძოლა მოელის სენეგალთან.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ხამეს როდრიგესი

კოლუმბიელთა მთელი გუნდის გამოყოფა შეიძლება: კრეატიული კინტერო, რეაქტიული კუადრადო, გმირი ოსპინა, პირველი გოლის ავტორი მინა, მაგრამ მაინც ხამესი. ბავარიელთა ნახევარმცველი პირველად მოხვდა ძირითად შემადგენლობაში და დაამტკიცა, რამდენად საჭიროა გუნდისთვის. მართალია, თავად გოლი არ გაუტანია, მაგრამ ორი საგოლე პასი ჩაიწერა.

სატუნირო ცხრილი:

1.იაპონია	2	1	1	0	4:3	4
2.სენეგალი	2	1	1	0	4:3	4
3.კოლუმბია	2	1	0	1	4:2	3
4.პოლონეთი	2	0	0	2	1:5	0

არგენტინის ნაკრების ამბები

დღეს არგენტინის ნაკრებს პრინციპული მატჩი აქვს. მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის მესამე ტურში არგენტინელები ჯგუფიდან გასასვლელ მატჩში ნიგერიას შეხვდებიან. ჯერჯერობით, რაც ვიცით, ის არის, რამაც სამხრეთამერიკელთა ბანაკიდან გამოჟონა – თავდამსხმელი, სერხიო აგუერო ნიგერიელებთან მონაწილეობას არ მიიღებს.

ხორვატიასთან (0:3) მატჩის შემდეგ, ხორხე სამპაოლიმ განაცხადა, რომ მისმა მოთამაშეებმა მიცემული დავალებები ვერ შეასრულეს, რის გამოც მწვრთნელი სერხიო აგუერომ გააკრიტიკა, რამაც სამპაოლი გააღიზიანა, ფეხბურთელსა და მწვრთნელს შორის კი კონფლიქტია, რის გამოც მანჩესტერ სიტის თავდამსხმელი ნიგერიასთან არ ითამაშებს.

კიდევ არგენტინელი მწვრთნელი და ექსფეხბურთელი რიკარდო კარუსო ლომბარდი მიიჩნევს, რომ გუნდის კაპიტანი ლიონელ მესი არ თამაშობს კარგად. და ამას, შეგნებულად აკეთებს, რომ სამპაოლიზე ზეწოლა გააძლიეროს.

კარლოს ლომბარდი:

– მესიმ არგენტინის ნაკრებში უკვე 7 მწვრთნელი „შეჭამა“. იქმნება შთაბეჭდილება, რომ იგი შეგნებულად თამაშობს ცუდად, რათა სამპაოლიზე ზეწოლა გააძლიეროს. მესი ნაკრებიდან გასაგდებია. ის არაფერს აკეთებს და მწვრთნელის წინააღმდეგ თამაშობს. ლიონელს ყოველთვის სურს, რომ გარშემომყოფთა შორის იყვნენ მოთამაშეები, რომლებსაც უყვართ იგი და არა საუკეთესო მოთამაშეები.

თავად მესის საერთოდ არ ანაღვლებს ლომბარდის სიტყვები და აცხადებს, რომ მისი ოცნება მსოფლიოს ჩემპიონატის მოგებაა.

– ყოველთვის ვოცნებობდი, მსოფლიო თასი აღმემართა და ეს ემოციები მეგრძნო. თასის მოგება მილიონობით არგენტინელს სიხარულს მოუტანს. ჩემს ოცნებაზე უარს ვერ ვიტყვი. ყველა მნიშვნელოვანი ჯილდო მოვიგე, მაგრამ ჯერ კიდევ ამბიციებით სავსე ვარ. არ მინდა, კარიერა ისე დავასრულო, რომ მსოფლიოს ჩემპიონი არ გავხდე.

შეგახსენებთ, არგენტინის ფეხბურთელთა ეროვნულ გუნდს 2 მატჩის შემდეგ მხოლოდ 1 ქულა აქვს, მაგრამ ჯგუფიდან გასვლის შანსს ჯერ კიდევ ინარჩუნებს. როგორც გითხარით, დღეს სამხრეთამერიკელები ნიგერიას დაუპირისპირდებიან. მესის და კამპანიას მხოლოდ გამარჯვება ესაჭიროებათ, რაც რთულად დასაძლევი ამოცანა არ არის, მაგრამ ისლანდიაზეც არიან დამოკიდებულნი.

ნიგერიასთან უმნიშვნელოვანეს მატჩამდე არგენტინელთა ბანაკიდან, როგორც იქნა, კარგი ინფორმაციაც გავრცელდა.

არგენტინული და ესპანური გამოცემების მტკიცებით, ფედერაციის პრეზიდენტი კლაუდიო ტაპია და მთელი სამწვრთნელო შტაბი ერთმანეთს შეხვდა.

მანამდე გავრცელებულა ინფორმაცია, რომ თითქოს არგენტინის ნაკრების მოთამაშეებმა ფედერაციის პრეზიდენტს ხორხე სამპაოლის გადაყენება მოსთხოვეს, რაც უარყოფილი იქნა. ფეხბურთელებმა ამის შესახებ შეხვედრაზე განაცხადეს, რის შემდეგაც დიდი კონსენსუსი შედგა. არგენტინელებმა პრობლემები გვერდით გადადეს და ერთად დგომა გადაწყვიტეს.

თუმცა, ფეხბურთელებმა ხსენებულ შეხვედრაზე სამპაოლის თავიანთი მოთხოვნები წარუდგინეს. კერძოდ, მათ სავარჯიშო პროცედურების რამდენიმე ნაწილი არ მოსწონთ და მის შეცვლას ითხოვენ.

ის ინფორმაცია, რომ თითქოს შემადგენლობას მესი და მასკერანო დააყენებდნენ, არ დადასტურდა.

მედია არგენტინელთა სავარაუდო შემადგენლობასაც ავრცელებს, რომლითაც შესაძლოა „ალბისელესტე“ ნიგერიას დაუპირისპირდეს.

პრაქტიკულად გადაწყვეტილია, რომ არგენტინა 4-3-3 სქემით ითამაშებს. ვილი კაბალიერო თადარიგში დარჩება და ძირითადში რივერ პლეიტის მეკარე ფრანკო არმანი იქნება.

უკანა ხაზის დაკომპლექტების ორი ვარიანტი არსებობს. ტალიაფიკო, ოტამენდი, მერკადო და სალვიო. შესაძლოა, მერკადოსა და ტალიაფიკოს ნაცვლად ფასიომ და როხომ ითამაშონ.

რაც შეეხება ნახევარდაცვას: ცენტრში 3 ფეხბურთელი იქნება – მასკერანო, ენცო პერესი და ევერ ბანეგა. არაა გამორიცხული, რომ სამპაოლიმ პერესსა და ბილიას შორის გააკეთოს არჩევანი.

შემტევი ტრიო მესი-დი მარია-იგუაინისგან დაკომპლექტდება.

ამრიგად, „ალბისელესტეს“ სავარაუდო თერთმეტეული ასე გამოიყურება: არმანი, ტალიაფიკო, ოტამენდი, მერკადო, სალვიო, მასკერანო, ენცო პერესი, ბანეგა, მესი, დი მარია იგუაინი.

ურუგვაი პირველი ადგილით გავიდა

ურუგვაი-რუსეთი 3:0

სამარა. სამარა არენა

1:0 სუარესი (10) 2:0 ჩერიშევი (23სკ) კავანი (89)

ურუგვაი: მუსლერა, კოატესი, გოდინი, კასერესი, ვესინო, ტორეირა, ბენტანკური (დე არასკაეტა 63), ნანდესი (როდრიგესი 73), ლაქსალტი, სუარესი, კავანი (გომესი 90)

რუსეთი: აკინფეევი, სმოლნიკოვი, კუტეპოვი, იგნაშევიჩი, კუდრიაშოვი, ზობნინი, გაზინსკი (კუზიაევი 46), სამედოვი, მირანჩუკი (სმოლოვი 60), ჩერიშევი (ფერნანდესი 38), ძიუბა

გაძევება: სმოლნიკოვი (36)

ა ჯგუფის ბოლო ტურში, ურუგვაი

მუნდიალის მასპინძელ რუსეთს დაუპირისპირდა და დიდი ანგარიშით – 3:0 დაამარცხა. ორი ტურის შემდეგ, ფლეი ოფში თამაში ორივე გუნდს გარანტირებული ჰქონდა და მთავარმა მწვრთნელებმა რამდენიმე ფეხბურთელს დასვენების საშუალება მისცეს.

მატჩი ურუგვაელთა უპირატესობით დაიწყო და უკვე მე-10 წუთზე, დაწინაურდნენ კიდეც. სამხრეთამერიკელთა ლიდერმა ლუის სუარესმა საჯარიმო დარტყმა ტექნიკურად შეასრულა. გატანილი გოლის შემდეგ, ოსკარ ტაბარესის გუნდმა ბურთი დაიჭირა და პრაგმატულ ფეხბურთზე გააკეთა აქცენტი. რუსები კი გრძელი პასებით ცდილობდნენ არტიომ ძიუბას დასარტყმელ პოზიციაზე გაყვანას, მაგრამ ურუგვაელთა მცველები, მთელი მატჩის განმავლობაში, უშეცდომოდ მოქმედებდნენ. მალე ურუგვაელებმა მეორეც გაიტანეს. დიეგო ლაქსალტის შორეული დარტყმის შემდეგ, ბურთი დენის ჩერიშევს შეეხო და რუსეთის კარის ბადეში აღმოჩნდა. რუსთა პრობლემებს ისიც დაემატა, რომ შეხვედრის მთავარმა არბიტრმა, მალანგ დაიდიუმ, უხეშობისთვის მოედნიდან იგორ სმოლნიკოვი გააძევა და სტანისლავ ჩერჩესოვის გუნდი 10 კაცის შემადგენლობით დარჩა.

მეორე ნახევარში შეხვედრა ოდნავ მოსაწყენი გახდა. რუსები პრაქტიკულად ვერაფერს ქმნიდნენ, ურუგვაი კი ზედმეტი გარისკვის გარეშე ცდილობდა, მატჩის გამარჯვებამდე მიყვანას. შეხვედრის მიწურულს, სამხრეთამერიკელებმა ერთიც გაიტანეს. კუთხურის შემდეგ, დიეგო გოდინი ურტყამდა კარის მიმართულებით. მართალია, მისი თავური აკინფეევმა მოიგერია, მაგრამ დამატებაზე ყველას ედინსონ კავანიმ დაასწრო და ურუგვაელთა ფორვარდმა რუსეთის მუნდიალზე თავისი პირველი გოლი გაიტანა.

საბოლოოდ, 3:0 ურუგვაის სასარგებლოდ და 9 ქულით ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდა. რუსეთმა კი 6 ქულით, ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ლუის სუარესი

სამხრეთამერიკელთა ცენტრფორვარდმა მატჩის დებიუტში ულამაზესი საჯარიმო დარტყმით, ანგარიში გახსნა, შემდეგ კი, ურუგვაელთა ყოველ შეტევას იწყებდა.

საუდის არაბეთი-ეგვიპტე 2:1

ვოლგოგრადი. ვოლგოგრად არენა

0:1 სალაჰი (22), 1:1 ალ ფარაჯი (45პ), 2:1 ალ დავშარი

41-ე წუთზე ალ მუვალადმა ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)

საუდის არაბეთი: ალ მოსალეიმი, ალ ბურაიკი, ო.ჰოვსავი, მ.ჰავსავი, ალ შაჰრანი, ალ ფარაჯი, ოტაიფი, ალ მოგაჰვი, ალ დავშარი, ბაჰბირი (ასირი 65), ალ მუვალადი (ალ შეჰრი 79)

ეგვიპტე: ალ ჰადარი, გაბრი, ეგაზი, ფატჰი, აბდელშაფი, ჰამედი, ელნენი, ტრეზეგე (კაჰრაბა 81), საიდი (ვარდა 45), სალაჰი, მოჰსენი (რამადანი 64)

დავიწყოთ იმით, რომ ამ მატჩში დაფიქსირდა მსოფლიოს ჩემპიონატების რეკორდი: ეგვიპტელთა მეკარე ესამ ალ ჰადარი გახდა ყველაზე უხნესი ფეხბურთელი, ვისაც პლანეტის ყველაზე პრესტიჟულ ტურნირზე უასპარეზია. დღეს ალ ჰადარი 45 წლისა და 161 დღის ასაკში იცავდა საკუთარი გუნდის კარს. მეტიც, ეგვიპტელთა მეკარემ 41-ე წუთზე პენალტის მოგერიებაც შეძლო, რაც ალბათ კიდევ უფრო რთულად დასამხობი რეკორდი იქნება.

მატჩი კი, უნერვიულო იყო. არც ერთი გუნდი არ იკლავდა თავს ზედმეტად, ცდილობდნენ მშვიდად და ლაღად ეთამაშათ. თავიდან ეგვიპტელები დაწინაურდნენ, როდესაც მომო სალაჰი ორ მცველს გაექცა, მეკარესთან პირისპირ დარჩა და ბურთი თავზე გადაატარა.

სალაჰს კიდევ ჰქონდა გოლის გატანის შანსი, ისევ პირისპირ, ისევ ბურთის თავზე გადატარება, მაგრამ მიზანმა უმტყუნა. ორჯერ ტრეზეგეს ჰქონდა კარგი შანსი, მაგრამ მიზანი ვერც მან გაისწორა.

ეს ყველაფერი კონტრშეტევებზე ხდებოდა, რადგან ბურთს უმეტესად საუდელები ფლობდნენ, რამაც შედეგი გამოიღო. ჯერ ერთი პენალტი დაინიშნა ეგვიპტელთა კარში და ალ ჰადარმა მოიგერია, შემდეგ მეორე და ამჯერად, ალ ფარაჯის დარტყმას ვეღარ გაუმკლავდა.

მეორე ტაიმშიც ბურთი საუდელების იყო. თუმცა, სახიფათო მომენტები გაცვალეს გუნდებმა. შემდეგ მომენტები უფრო საუდელებს ჰქონდათ, მაგრამ თამაში მშვიდად გაგრძელდა და, თითქოს ფრედ უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ზედ საფინალო სასტვენის წინ, სალემ ალ დავშარის გოლით, საუდის არაბეთმა მოიგო და მსოფლიოს ჩემპიონატებზე პირველად დაიკავა ჯგუფში მესამე ადგილი.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – სალემ ალ ფარაჯი

რომ არა ბოლო წამზე გასული გოლი, საუკეთესო ეგვიპტელთა მეკარე იქნებოდა, მაგრამ ამჯერად საუდელი ალ ფარაჯი გამოვარჩიეთ, რომელიც მოედნის ცენტრში ყველაფერს აკონტროლებდა, გოლიც გაიტანა.

მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა

„სამეფო კარის თამაშების“ ვარსკვლავები შეუღლდნენ

ტელესერიალ „სამეფო კარის თამაშების“ მსახიობებმა კიტ ჰარინგტონმა და როუზ ლესლიმ შოტლანდიაში იქორწინეს. ცერემონია უძველეს ციხე-სიმაგრეში გაიმართა.

სტუმრებს შორის საგას სხვა ვარსკვლავებიც იმყოფებოდნენ: პიტერ დინკლეიჯი, მეისი უილიამსი, სოფი ტერნერი და ემილია კლარკი.

ჰარინგტონი და ლესლი, რომლებმაც პოპულარულ ფენტეზიში ჯონ სნოუსა და იგრიტის როლები შეასრულეს, ერთმანეთი 2012 წლის გადაღებებზე გაიცნეს. საგას სიუჟეტის მიხედვით თავდაპირველად ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილ პერსონაჟებს ერთმანეთი შეუყვარდებათ. მეოთხე სეზონის ბოლოს ინგრიტი იღუპება.

„სამეფო კარის თამაშების“ სერიალი ეკრანებზე 2011 წელს გამოვიდა. 2017 წლის 28 აგვისტოს მისი მეშვიდე ნაწილი დასრულდა, ბოლო ეპიზოდმა კი სერიალების ნახვის რეკორდი მოხსნა.

ნაპოლეონის ქუდი აუქციონზე 350 ათას ევროდ გაიყიდა



სამკუთხა ქუდი, რომელიც ნაპოლეონმა 1815 წელს ვატერლოუს ბრძოლის დროს დაკარგა, საფრანგეთში გამართულ აუქციონზე 350 ათას ევროდ გაიყიდა.

აუქციონის სახლის მონაცემებით, საფრანგეთის არმიის დამარცხებისა და უკან დახევის შემდეგ, იმპერატორის თავსაბურავი ჰოლანდიელ დრაგუნთა კაპიტანმა არნუ ვან ზეილენ ვან ნეიეველტმა იპოვა და სწორედ ის გახდა მისი ახალი მფლობელი. ორ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე სამკუთხა ქუდმა შვიდი პატრონი გამოიცვალა, თავად ნაპოლეონის ჩაუთვლელად.

აღსანიშნავია, რომ ქვეყნის მმართველობის მანძილზე ნაპოლეონმა 120 სამკუთხა ფორმის ქუდი გამოიყენა, თუმცა მათ ნამდვილობაში მხოლოდ 19 ქუდი არ იწვევს ეჭვს სპეციალისტებში. მათ შორისაა ისიც, რომელიც აუქციონზე გაიყიდა.

ლოტის თავდაპირველი ფასი 30-40 ათას ევროს შეადგენდა. ნაპოლეონის თავსაბურავების რეკორდული ფასი კი 1,4 მილიონ ევროს შეადგენს. ამ ფასად იმპერატორის ქუდი 2014 წელს სამხრეთკორეელმა ბიზნესმენმა შეიძინა.

იაპონელი შესვენებაზე სამი წუთით ადრე გასვლისთვის დასაჯეს

იაპონელი სახელმწიფო მოხელე შესვენებაზე სადილად სამი წუთით ადრე სისტემატურად გასვლისთვის დასაჯეს.

წყალმომარაგების ორგანიზაციის 64 წლის თანამშრომელი ქალაქ კობედან შვიდი თვის განმავლობაში 26-ჯერ გავიდა დროზე ადრე შესვენებაზე, რათა მისი ოფისის გვერდით მდებარე რესტორანში საკვები შეეძინა. როდესაც ეს ცნობილი გახდა მისი ხელმძღვანელებისთვის, ის დააჯარიმეს და საყვედურიც გამოუცხადეს. ამის შემდეგ ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ პრესკონფერენცია მოიწვია და სახალხოდ მოიხადა ბოდიში საკუთარი თანამშრომლის გამო, რომლის ქცევას უკიდურესად სამწუხარო უწოდა.

აღსანიშნავია, რომ თანამშრომელიც კანონსაწინააღმდეგო ქმედების შესახებ ცნობილი მას შემდეგ გახდა, როდესაც ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ის ქუჩაში მიმავალი ფანჯრიდან შენიშნა. შედეგად ხელმძღვანელობამ ზუსტად გამოთვალა, თუ ის რა დროის განმავლობაში არ იმყოფებოდა სამუშაო ადგილზე და მას ნახევარი დღის ხელფასი დაუქვითა.

მელანია ტრამპი საწვიმარზე წარწერის გამო სკანდალში გაეხვა

აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის მეუღლე მელანია ტეხასში ემიგრანტი ბავშვების დაცვის ცენტრში მივიდა, რა დროსაც მას მწვანე ფერის საწვიმარი ლაბადა ეცვა ზურგზე წარწერით „ჩემთვის სულ ერთია, და თქვენთვის?“

ამერიკის ცნობილმა პირებმა კომედიური მსახიობის ჩელსი ჰენდლერის მეთაურობით მელანია ტრამპს ტვიტერში სიძულვილით აღსავსე კომენტარები მიუძღვნეს.

– მისმა ჩვენ ლტოლვილებთან დამტვრეული ინგლისურით საუბარმა, თანაც მისი სულელური ქურთუკით, მიაღწია თვალთმაქცობის ზენიტს. ასეთი რამის ატანა შეუძლებელია, – დაწერა მსახიობმა.

– ეს ადამიანები ფანტასტიკის ზღვარზე არიან, ასეთი რამის ყველაზე დიდ საშინელებებში წარმოდგენაც კი შეუძლებელია, – დაწერა რეჟისორმა ჯად აპატოუმ.

ამ ყოველივეს თავად დონალდ ტრამპი გამოეხმაურა და მისი საწვიმარის ზურგზე გაკეთებული წარწერის გამართლებას შეეცადა.

– სლოგანი მელანიას ქურთუკზე „ჩემთვის სულ ერთია, და თქვენთვის?“ ყვითელი პრესისთვისაა განკუთვნილი. ის მიხვდა, ისინი როგორი მატყუარები არიან და ახლა მისთვის მართლაც სულ ერთია, თუ რა წერენ, – დაწერა პრეზიდენტმა საკუთარ ტვიტერში.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

26 ივნისისთვის

ვერძი – შესაძლოა, ახალი ნაცნობობა მტკიცე მეგობრობაში გადაიზარდოს. მატერიალური მდგომარეობა უმჯობესდება. **კურო** – კეთილისმყოფელი დღეა. გეგმების განხორციელებაში ხელი არ გეშლებათ. **ჯუჯები** – იაქტიურეთ. ნებისმიერი საქმე წარმატებას მოგიტანთ. პლანეტები გმფარველობენ. **კირჩხიბი** – მიენდეთ საქმიან პარტნიორს. ხელსაყრელ შემოთავაზებას მიიღებთ. **ლომი** – ძალზე კეთილისმყოფელი და საინტერესო დღეა. მიზანს უახლოვდებით. **ქალწული** – ახლობლებს სიყვარულით მოეპყარით. ენერგია დაზოგეთ. რამდენიმე საქმეს ერთდროულად ნუ შეეჭიდებით. **სასწორი** – სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. ხელმძღვანელობა თქვენს შრომასა და კეთილსინდისიერებას აფასებს. **ღრიანკალი** – ზედმეტი თავდაჯერებულობა საქმეს გაგიფუჭებთ. რჩევისათვის გონიერ ადამიანებს მიმართეთ. **მშვილდოსანი** – პირად ცხოვრებაშიც და საქმიან სფეროშიც წარმატება გელით. ფინანსური მდგომარეობა საგრძნობლად გაგიუმჯობესდებათ. **თხის რქა** – მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება არ მიიღოთ. ასევე ერიდეთ საქმიან ქაღალდებზე ხელმოწერას. **მერწყული** – ზედმეტი მიმნდობლობა დაგაზარალებთ. მიღებული ინფორმაცია საფუძვლიანად გადაამოწმეთ. **თევზები** – ფხიზლად იყავით. ზედმეტ ხარჯებს ერიდეთ. რეპუტაციას გაუფრთხილდით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს

ჯოსვოიდი ბ

შვეულად: 1. მოკარნახე თეატრში; 2. ფეთქებადი ჭურვი; 3. ფუფუნებით განებივრებული ადამიანი; 4. დონ-კიხოტის გვარი; 7. სილის გორაკი ზღვის სანაპიროზე; 9. საპატარძლოსთვის მირთმეული საქორწილო ნიშანი; 12. საავტომობილო საბურავების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 14. კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 15. ნიკო ფიროსმანის ფერწერული ტილო; 17. წყალში გახსნილი ცხოველის ნაკელისგან დამზადებული ნიადაგის გასანოყიერებელი ნარევი; 20. ორსართულიანი ლაზური სახლი.

თარაზულად: 5. იაპონელი კინორეჟისორი; 6. წვრილად დაჭრილი შემწვარი ხორცისგან მომზადებული ფრანგული კერძი; 8. ტვინის შერყევა; 10. ასოთამწყობი სასტამბო მანქანა; 11. მონარქიული სახელმწიფო კუნძულ კალიმანტანზე; 13. უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ძველ რომში; 16. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 18. მდინარე გურიაში; 19. ერთ-ერთი უძლიერესი ბრიტანელი ბილიარდისტი; 21. მონასტერი ხულოს რაიონში; 22. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი გაგრის რაიონში; 23. იმერეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში.



შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. კვართი; 4. კენგურუ; 7. პრაიდი; 9. ტარიფი; 11. აბზინდა; 12. კალციუმი; 13. ანგარი; 17. თრომბი; 18. მერი; 19. ანოქსემია; 20. ლიპარიტი.

შვეულად: 1. კიბე; 2. თვალი; 3. კვირტი; 5. ემალი; 6. რეკვიემი; 8. კაბრიოლეტი; 10. ადენიტი; 12. კარმენი; 14. ბოლერო; 15. ტირანი; 16. პრიმა.

სკანვორდის პასუხები:

1. იარა; 2. მარკა; 3. მესოპოტამია; 4. რა; 5. ტანგო; 6. ემე; 7. არაკი; 8. ქამა; 9. სექტორი; 10. რადა; 11. პრემიერა; 12. იდო; 13. ამნისტია; 14. ალაო; 15. მალამო; 16. ატაშე; 17. ტანკი; 18. აერობიკა; 19. მასნე; 20. ალალია; 21. ასო; 22. ერიკ; 23. სეტი; 24. რიტორიკა; 25. აკინაკი; 26. პადუა; 27. პიანო; 28. ოდა; 29. ლისაბონი; 30. სალაკა; 31. ომარ; 32. ბიდონი.

სურათებზე: კიმ კეტროლი; რუი კოშტა.

ქეთევან კიკნაძე გიორგი შენგელაიას ფსიქიატრიულის გზას ასწავლის

79 წლის მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ქეთევან კიკნაძე 81 წლის კინორეჟისორ გიორგი შენგელაიას უპირისპირდება და ფსიქიატრიულის გზას ასწავლის. მსახიობის გაბრაზების მიზეზი რეჟისორის ინტერვიუ გახდა, სადაც გიორგი შენგელაიამ ბიძინა ივანიშვილს „ხიტრი იმერელი“, „პაზორნი“ და „უსწავლელი“ უწოდა.

ქეთევან კიკნაძე:

– რამდენჯერ დავწერე, რომ ფსიქიატრიული ასათიანზეა, უთხარით ვინმემ გიორგი შენგელაიას.

როგორ ტკივილს აყენებს მის ახლობლებს.

დროზე უშველა თავს სოფიკომ, მაგრამ საცოდაობაა, ის მკვდარი იყოს და ეგ ცოცხალი.

თბილისის შუაგულში ულამაზესი შადრევანი დაზიანებულია

ერეკლეს მოედანზე არსებულ სკვერში ულამაზესი შადრევანი დგას, რომელიც წლების წინ საფრანგეთში კარლო და თინა ინასარიძეებმა შეიძინეს და თბილისში გამოაგზავნეს.

„ტფილისის ჰამქარის“ ინფორმაციით, ამჟამად შადრევანი დაზიანებულია:

– 1991 წლის 26 მაისს, კარლო და თინა ინასარიძეები ზვიად გამსახურდიას სახელზე გაგზავნილ წერილში წერდნენ: „ჩვენ შევისყიდეთ საფრანგეთში „ვალასის წყარო“, ან „ვალასის შადრევანი“, რომელიც გვსურს ვაჩუქოთ ჩვენს დედაქალაქ თბილისს... ტრანსპორტირების ხარჯები დაფარულია.“

რამდენიმე წლის წინ სკვერი გაიხსნა საზოგადოებისთვის.

ეს შადრევანი დღესაც დგას, ერეკლეს მოედანზე არსებულ სკვერში, თუმცა, დაზიანებული.

შადრევნის გუმბათი გატეხილია, გუმბათის დამაგვირგვინებელი დეკორატიული ელემენტი დაკარგული.

რუსთაველის თეატრი ყაზახეთში მიიწვიეს

რუსთაველის თეატრი ყაზახეთში მეორე მსოფლიო თეატრალურ ფესტივალზე მიიწვიეს.

გასტროლის ფარგლებში ყაზახეთის აუეზოვის სახელობის ნაციონალური დრამატული თეატრის სცენაზე რუსთაველის თეატრი წარმოადგენს სპექტაკლს „დაკანონებული უკანონობა“. ეს არის ბერტოლდ ბრეხტის მხიარული არაკი ორ მოქმედებად, რომლის დამდგმელი რეჟისორი რობერტ სტურუაა, რეჟისორი კი ნიკოლოზ ჰაინე-შველიძე.

27 ივნისს ამავე სპექტაკლს, რუსთაველის თეატრი ამჯერად ასტანაში, მეორე მსოფლიო თეატრალური ფესტივალის ფარგლებში ითამაშებს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

ბიძა ზაურ სიხარულიძე, ბიძაშვილები მარინა, მამუკა, თამუნა, ილია, მაია სიხარულიძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნონა იურის ასული სიხარულიძე

და ღრმა მწუხარებაში არიან მის დიდ ოჯახთან ერთად.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

დემნა გვასალია: „სახლში ხშირად ხუმრობენ, რომ მოხუცი ქალის გემოვნება მაქვს“

დიზაინერი დემნა გვასალია მსოფლიომ თავისი ორიგინალური კოლექციებით გაიცნო. დღეს მის სამოსს მსოფლიოში ცნობილი ადამიანები იცვამენ. დემნა ყველაზე წარმატებული და შემდგარი ღიად არატრადიციული ორიენტაციის ქართველია მსოფლიოში. მან საცხოვრებლად შვეიცარია აირჩია, თუმცა საფრანგეთში მუშაობს და გერმანიის მოქალაქეა.

დემნა გვასალია მსოფლიოში 3 ყველაზე განხილვადი ბრენდიდან ორს ბალენსიაგას და ვეტმენტს ხელმძღვანელობს, ერთის წლიური ბრუნვა 100 მილიონი ევროა, მეორე მხოლოდ 4 თვეში გამოიმუშავებს 463 მილიონ ევროს. ქართველი დიზაინერი ოფიციალურ ქორწინებაშია და შეუძლია კანონიერად ჰყავდეს შვილები. გასაოცარი კი ის არის, რომ დემნამ ამას მიაღწია იმის ფონზე, რომ სულ რაღაც 15 წლის წინ საკერავი მანქანის ფული არ ჰქონდა.

დემნა გვასალია:

– როცა ეკლესიაში გავაკეთე ჩვენება, მაშინ ჩემი ცხოვრების ყველაზე რთული პერიოდი იყო. მთელი ცხოვრება სხვებზე უფრო ვფიქრობდი, ვიდრე ჩემზე. მინდოდა ჩემს მშობლებს ჩემით ეამაყათ. სულ ვფიქრობდი, რა იქნებოდა კარგი სხვებისთვის და არა ჩემთვის, რამაც დამანგრია. 3-4 წელი ძალიან კლუბური ცხოვრებით ვიცხოვრე. სექსი, სასმელი, ნარკოტიკები.

ბოლო პერიოდში დავიწყე საკუთარ თავზე ფიქრი. ვგრძნობდი, რომ პარიზს უნდა გავცლოდი. ციურიხში გადასვლა ერთ-ერთი საუკეთესო გადაწყვეტილება იყო, რომელიც მივიღე ჩემი ძმისთვის, ჩემთვის. ალკოჰოლი არ დამიღევია 1 წელია, აღარ ვეწევი, დილით დავრბივარ, იოგა დავიწყე. გურამს ვეუბნები, რომ მთავარია წარმატებამ ადამიანურობა არ დაგვაკარგვინოს, ჯანსაღები დავრჩეთ.

არ მინდა ვიყო პიროვნება, რომელიც სამსახურის გამო მეგობრებს ვერასდროს ნახულობს. არ მინდა იფიქრონ, რომ დივა ვარ, ან ეგოისტი. მოდას ხშირად უზნეო რეპუტაცია აქვს, მაგრამ აქ ბევრი არაჩვეულებრივი ადამიანია და ხშირად, როდესაც უფრო მაღალ საფეხურზე ადიან, უფრო თავმდაბლები ხდებიან.

მთავარია, რომ დამოუკიდებელი ვარ და შემიძლია ვაკეთო, ავირჩიო ის, რაც ჩემთვის არის კარგი. ვმოგზაურობ მთებში, ტბებზე. კვირაში ერთხელ ოჯახურ შეკრებებს ვაწყობთ, მე ჩემს მეგობარ ბიჭთან ერთად, გურამი თავის მეუღლესთან ერთად. ჩიპსებს ვჭამთ დამდნარ ყველთან ერთად და ტელევიზორში რაღაც საშინელებებს ვუყურებთ.

სახლში ხშირად ხუმრობენ, რომ მოხუცი ქალის გემოვნება მაქვს, რადგან შაბათ-კვირას ფაიფურის საყიდლად გავდივარ. ფული, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ როცა ომის გამო სახლის დატოვება მომიწია, ერთადერთი, რაც წამოვიღეთ, იყო ფოტოალბომი, დანარჩენი ყველაფერი იქ დარჩა, მაგრამ მატერიალური არ გვადარდებდა. მთავარი იყო, რომ ერთმანეთი გვყოლოდა ჯანმრთელად.

ამიტომ ჩემთვის მატერიალური არ არის ყველაფერი. მთავარია საყვარელი ადამიანები მყავდეს კარგად. როცა 30 წლის ვიყავი, ვინმეს რომ ეთქვა, 6 წელში საკუთარი ბრენდი გექნება და თან ისტორიული სახლის კრეატიული დირექტორი იქნებიო, ალბათ არ დავიჯერებდი, მაგრამ გულის სიღრმეში ყოველთვის ვიცოდი, რომ შემეძლო.

ფლორენციასა და ბარიში ქართული სამკითხველოები გაიხსნა

ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა გიორგი კეკელიძემ იტალიაში, ფლორენციასა და ბარიში ქართული სამკითხველოები გახსნა და იქ შეხვედრილ ემიგრანტებზეც ისაუბრა:

– ქართველი ემიგრანტების გამო და არამარტო, ფლორენციასა და ბარიში ქართული სამკითხველოები გავხსენით. დიდი ემოციით და გეგმებით. ზოგმა ალბათ გაიგეთ კიდეც, მაგრამ ახლა სხვა რამეზე მინდა გელაპარაკოთ:

როცა ამგვარი შეხვედრებიდან უკან ვბრუნდები ხოლმე, ძალაუნებურად მეფიქრება. მეფიქრება, გამოვტყდები, ცოტა ხნით და მერე ყოველდღიურობის ქარი მიფანტავს. ამიტომ ახლა დავწერ: ჩვენ ძალიან უცნაურად გვახსოვს ეს ხალხი. დიდწილად, ორგვარად: პირველი, ცოტა ზიზღნარევია ან ყლბშეცოდებანარევი, ცოტა მორალის მარილითაც „იქ მომვლელებად და მრეცხავებად მუშაობენ, აბა, აქ შესთავაზოს ვინმემ მაგდაგვარი სამუშაო“ და მეორე ყალბთანაგრძნობანარევი, ცოტა გამორჩენის სურვილით ნაკარნახევი „ეს მეღოდია ჯულიარდ ჯიქანაძისგან ეძღვნება ქართველ ემიგრანტებს“. საზღვარსგამცდარი ქართველი ბევრია, იუთუბზე ნახვებიც შესაბამისი. ეს არის და ეს. გვარიანი სიუცხოვე ან უგვანო სიმღერები.

ერთმა კარგმა ნაცნობმა, ალაგ-ალაგ არცთუ ცუდმა კაცმა, განათლებულმა და დავარცხნილმა, მითხრა: „უფ, ეს ემიგრანტი ქართველები განსაკუთრებული ბნელები არიან, წუხელ დავყევი და ყველა წავშალე ფეისბუქიდანო“. ჯერ ერთი, რომ ასე განზოგადება ყველა ემიგრანტზე ცოტა კომიკურია და მეორე, ცხადია, ნება მისია, საიდანაც უნდა, იქიდან წაშლის და აღადგენს, გინდ ქსელიდან და გინდ გონებიდანაც, მაგრამ ეგებ ერთხელ მაინც გვეკითხა ვინმესთვის, ვინც ბნელად მივიჩნიეთ, მხოლოდ მავნებლები ხომ არ ელაპარაკებიან, მხოლოდ მათსას ხომ კითხულობენ და ისმენენ? ჩვენ, ინტელექტუალური იერით ერთმანეთს ვუჩურჩულებთ, ეს ჩურჩული უვიწროეს წრეში იტრიალებს, ორას მოწონებას მოაგროვებს და მერე, თქვენი მოწონებული, ისე დავიძინებთ. ის სამყარო, დანარჩენი, ჩვენ მიღმა არსებობს და არ ვიმჩნევთ. და იოლად ვჩემპიონდებით ტრადიციულ, ეროვნულ სპორტში, ილია რომ ებრძოდა და „სპორტსმენებმა“ მორიგი „გარბენისას“ გადაქელეს. ერთმანეთთან სათქმელის არმიტანაა ეს სპორტი. ხელოვნური კასტურობა და ვერგატანა.

დიახ, ქართველი ემიგრანტები კრიმინალებიც არიან და ასე ხუთი-ექვსი კულტურის ვარსკვლავი. ვიცით ეს. მაგრამ მგონი მარტო ეს ვიცით. არადა, ქართველი ემიგრანტები არიან სტუდენტები, დღეგამოშვებით რომ პატიოსნად მუშაობენ. არიან მომვლელები და მრეცხავები, შაბათობით პატარებს ქართულს და მათემატიკას რომ ასწავლიან საკვირაო სკოლაში. დიდები და პატარები. ეს ხალხი ღონისძიებაზე კატორღული სამსახურიდან ერთი საათით შემოირბენს და ამაოდ მალავს დიდ დაღლას და სევდას. არ იმჩნევს და არ გამჩნევინებს. „გავიქეცი ახლა ჩემს ბებოსთან მოსავლელად“, ნაძალადევი მხიარულებით გეტყვიან და მძიმე ნაბიჯებით წავლენ.

ამ ადამიანებმა, განსაკუთრებით ქალებმა, გადაარჩინეს საქართველო ფიზიკურად და ახლაც როდი აქვთ მცირე წვლილი. დანარჩენი ჩატეხილი ხიდის ამბავია. ეს სამკითხველოები მცირე წვლილია ჩვენგან. კიდევ იქნება. არაერთი. ჩვენი სინათლეები უნდა შევამჩნიოთ. ასე უფრო ადვილად დავძლევთ ჩვენსავე სიბნელეებს. დავანახოთ, მივუთითოთ, თუნდაც გავკიცხოთ ერთმანეთი, ოღონდ ვილაპარაკოთ. ჩემი გზაც ეს არის.

კალეიდოსკოპი

სუპერმოდელ კენდის სვეინპოლს მეორე შვილი ეყოლა

სუპერმოდელმა კენდის სვეინპოლმა მეორე შვილი გააჩინა. ამის თაობაზე ინფორმაცია ვიქტორია სიქრეთსის „ანგელოზმა“ საკუთარ ინსტაგრამში განათავსა.

ფოტოსურათი, რომელზეც ორი ხელი და ახალშობილია აღბეჭდილი, წარწერით „დალოცვილია“, 29 წლის მოდელმა ხუთშაბათს გამოაქვეყნა. მოგვიანებით მან კიდევ ერთი ფოტოსურათი გამოაქვეყნა, რომელზეც ის ბავშვთან ერთადაა აღბეჭდილი და თაყვანისმცემლებს უამბო, რომ ბავშვი 19 ივნისს დაიბადა ბრაზილიაში, სახლში სადაც ის თავის საქმრო ერმან ნიკოლისთან ერთად ცხოვრობს.

წყვილს უკვე ჰყავთ შვილი, ერთი წლის ანაკა.

შეგახსენებთ, რომ კენდის სვეინპოლი პოპულარული სამხრეთ ამერიკელი მოდელია. 2010 წლიდან ის ვიქტორია სიქრეთსის „ანგელოზია“. 2013 წელს მას ეკუთვნოდა ჩვენების გადამწყვეტ მომენტში როიალ ფენტეზის კოლექციის ბიუსჰალტერით პოდიუმზე გამოსვლის პატივი. მისი ფასი 10 მილიონ დოლარს შეადგენდა და 4200 ძვირფასი ქვით იყო დამშვენებული.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

26 ივნისისთვის

- აშშ დოლარი — 2.4578
- ევრო — 2.8597
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2659
- 100 რუსული რუბლი — 3.8955

ამინდის პროგნოზი 26 ივნისისთვის

იკითხეთ ქართული დეტექტივი ზაფხულის დღეებში!

19 ივნისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის პირველი ტომი

ალექსანდრე იასაღაშვილი
მგლის ბილიკი
ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

22 ივნისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-2 ტომი

ალექსანდრე იასაღაშვილი
შავი ვარდი
ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

26 ივნისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-3 ტომი

იორამ ჩადუნელი
საზღაური
ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

29 ივნისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-4 ტომი

რომან გვენცაძე
საბედისწერო გასროლა
ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

3 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-5 ტომი

ჯემალ ჩახავა
ქურდები და არიფები
ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

6 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-6-7 ტომი

ავთანდილ ბუხრაშვილი
ვინ მოკლა ინსპექტორი
ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

10 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-8 ტომი

მაკა სეფაშვილი
დანაშაული აღარ მოხდება
ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

კიმ კარდაშიანს აშშ-ის პრეზიდენტობა სურს

რეალიტი-შოუს ვარსკვლავმა კიმ კარდაშიანმა განაცხადა, რომ ოდესმე შესაძლოა მან აშშ-ის პრეზიდენტის თანამდებობაზე იყაროს კენჭი. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ამერიკული ტელეკომპანია ავრცელებს. თუმცა, მისივე თქმით, უახლოეს დროში ის ამის გაკეთებას არ გეგმავს.

კარდაშიანმა ასევე დაამატა, რომ ელის მარი ჯონსონის განთავისუფლებამ, რისთვისაც ტელევარსკვლავმა აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპისგან მიიღო შეწყალება, მისი ცხოვრება შეცვალა.

აღსანიშნავია, რომ კარდაშიანი მემფისში კერძო თვითმფრინავით ჩავიდა, რის შემდეგაც ელის ჯონსონის დის სახლში მივიდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

ცოლი ქმარს ეკითხება:
– ზღვაზე რა წავიღო ისეთი, რომ ყველას თვალები შუბლზე აუვიდეს?
– თხილამურები.

•••

ქალი ქმარს შორდება. მოსამართლე ეკითხება:
– რა მიზეზით შორდებით?
– იცით რა...
– სვამს?
– არა.
– ეწევა?
– არა.
– ნარკოტიკებს იღებს?
– არა.
– არ მუშაობს?
– მუშაობს.
– დაბალი ანაზღაურება აქვს?
– არა.
– ბავშვებზე არ ზრუნავს?
– ზრუნავს.
– გღალატობთ?
– არა.
– როგორც ქალს ვერ გაკმაყოფილებთ?
– არა, ამ მხრივ ყველაფერი ნორმალურადაა.
– გცემთ?
– არა.
– მაშინ რა მიზეზით შორდებით?
– იცით რა, ბატონო მოსამართლევ, თქვენ უნდა ნახოთ, ამ ყველაფერს როგორი გამომეტყველებით აკეთებს...

•••

ავადმყოფი თერაპევტთან მიღებაზე.
– ექიმო, მუცელი მტკივა და საერთოდ თავს ცუდად ვგრძნობ.
– რა მოხდა?
– ტყეში ვიყავი და კენკრა შევჭამე...
– რა კენკრა იყო?
– არ ვიცი, ვერ დავინახე.
– მაშინ, მე კი არა, თვალის ექიმი გჭირდებათ.

•••

მიწაზე დაშვების შემდეგ ახალბედა პარაშუტისტს ჟურნალისტი ეკითხება:
– როგორ გრძნობდით თავს პირველი გადმოხტომის დროს?
– ჩიტივით.
– ეგ როგორ?
– მოვფრინავდი და ვასკლინტავდი...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბოაი

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუბეთესო ექიმები მოგვე პერიოდები

-გუდ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით

ვერონი: „მესის ლიდერობა არ შეუძლია“



ლიონელ მესიმ ნიგერიასთან შეხვედრაზე ისაუბრა და თქვა, რომ მას სჯერა თავისი ნაკრების წარმატების.

შეგახსენებთ, რომ არგენტინას მხოლოდ გამარჯვება აძლევს ხელს ნიგერიასთან და სხვა ნებისმიერი შედეგი მესის გუნდისთვის დამღუპველია:

– ჯერ კიდევ მჯერა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის მოგება შეგვიძლია, რადგან ძლიერი ფეხბურთელები გვყავს, უბრალოდ მოედანზე ერთმანეთს უკეთესად უნდა გავუგოთ. სანამ შანსები გვაქვს, ბოლომდე ვიბრძოლებთ, – განაცხადა ლიონელ მესიმ.

ნიგერიასთან შეხვედრა 26 მაისს, თბილისის დროით 22.00 საათზე დაიწყება.

ამასობაში არგენტინის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა ხუან სებასტიან ვერონმა ლიონელ მესიზე და ნაკრებზე ისაუბრა და თქვა, რომ მესის ლიდერობა არ შეუძლია.

ვერონის აზრით, დიეგო მარადონას გაცილებით უფრო ძლიერი ხასიათი ჰქონდა.

– როგორც ფეხბურთელი, მესი უფრო ძლიერია, ვიდრე მარადონა, რადგან ლეოს მოედანზე წარმოუდგენელი რამეების კეთება შეუძლია, მაგრამ მარადონას ისეთი ხასიათი ჰქონდა, როგორიც მესის არა აქვს. ის ლიდერი არ არის, მაგრამ მაინც დიდებული ფეხბურთელია, – განაცხადა ხუან სებასტიან ვერონმა.

ედენ აზარს რეალში თამაში სურს

ჩელსის ბელგიელი ნახევარმცველი ედენ აზარი უკვე აღარ მალავს, რომ მადრიდის რეალში თამაში სურს.

აზარის მამამ, რომელიც მისი აგენტია, რეალს აზარის ტრანსფერი შესთავაზა, თუმცა მადრიდელებს ჯერჯერობით ამ საკითხზე კომენტარი არ გაუკეთებიათ. გარდა ამისა, ჩელსი თავის მთავარ ვარსკვლავს იოლად არ შეელევა და რეალს აზარის ტრანსფერი ძვირი დაუჯდება.

აზარმა რამდენიმე ინტერვიუში ჩელსიდან წასვლა არ გამორიცხა და, სავარაუდოდ, ის რეალში გადასვლას გულისხმობდა.

დუგლას კოშტასთვის მსოფლიო ჩემპიონატი დასრულდა



ბრაზილიის ნაკრების შემტევმა ნახევარმცველმა დუგლას კოშტამ ერთ-ერთ ვარჯიშზე ტრავმა მიიღო და, სავარაუდოდ, მისთვის მსოფლიო ჩემპიონატი დასრულდა, რადგან კოშტას ბარძაყის კუნთის დაჭიმულობა აქვს, რომლის მკურნალობასაც 3 კვირა სჭირდება. ჯერჯერობით ბრაზილიის ნაკრების წარმომადგენლებს ოფიციალური კომენტარი არ გაუკეთებიათ, თუმცა არავინ უარყოფს, რომ დუგლას კოშტამ ტრავმა მიიღო.

კოშტას არყოფნა ბრაზილიელებისთვის სერიოზული დანაკლისი იქნება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

პოგბა შესაძლოა ნაკრებიდან წავიდეს



საფრანგეთის ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა პოლ პოგბამ განაცხადა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ მან შესაძლოა ნაკრები დატოვოს.

პოგბას თქმით, ის უკვე დაიღალა მუდმივი კრიტიკით და შენიშვნებით:

– ადამიანების რაღაც ნაწილი მუდმივად მაკრიტიკებს და მათ თავი ვერაფრით შევაყვარე. ეს ყველაფერი ცოტათი მომბეზრდა, ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ ნაკრებიდან წავიდე.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვორდი ১

შვეულად: 1. ჩინელ კოსმონავტთა სახელწოდება; 2. ესპანეთის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 3. ჩაის ფოთლებსა და ყავის მარცვლებში არსებული ალკალოიდი; 4. ნივთიერება, რომელსაც უმატებენ მადანს ბრძმედში დნობის დასაჩქარებლად; 5. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ამერიკული კომპანია; 6. ხელის გამომხატველობითი მოძრაობა; 7. ორცოლიანობა, ორქმრიანობა; 9. სინარნარე, მოხდენილობა მოძრაობაში; 13. პოპულარული ბაღ-რესტორანი ძველ თბილისში; 17. მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება თბილისში; 18. ტბა კანადა-აშშ-ს საზღვარზე.

თარაზულად: 1. მუნჯი კინოს აკომპანიატორი პიანისტი; 3. ცნობილი ჰოლანდიელი ფეხბურთელი; 8. საბადოდან ტორფის ამოსაღები ექსკავატორი; 10. უძველესი ქართული სამეფო; 11. უნგრული ღვინო; 12. სოფელთა სახელწოდება შუა აზიაში; 14. აეროპორტი ტოკიოში; 15. ჟანგბადის აღმომჩენი ინგლისელი ქიმიკოსი; 16. მდინარე ლონდონში; 19. ზანგისა და თეთრკანიანის ქორწინების შედეგად წარმოშობილი შთამომავალი; 20. ერთ-ერთი უძლიერესი ბრიტანელი ბილიარდისტი; 21. უზენაესი სასამართლო თურქეთში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა